პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი
პარასკევი
20 ივნისი
№ 142 (17785)
ფასი 2 კაპ.

მნიშვნელოვანი წვლილი

ფოთის საოკეანო თევზჭერის სამმართველოს თევზსაყინი ტრალერის „საქართველოს“ ეკიპაჟის მოწოდება

ძვირფასო ამხანაგებო!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი გულთბილად გილოცავთ ფოთის საოკეანო თევზსაყინი ტრალერის „საქართველოს“ ეკიპაჟის ძირად შემადგენლობას, დიდ შრომითს გამარჯვებას — თევზჭერისა და კვების პროდუქციის გამოშვების მეათე ხუთწლედის გეგმის ვადამდე შესრულებას.

თქვენი მიღწევები გემის ეკიპაჟის ყველა წევრის მაღალი პროფესიული ოსტატობის, შემოქმედებითი აქტიურობის, თევზსარეწი ტექნიკის უნარიანი გამოყენებისა და მუდმივი გაუმჯობესების შედეგია.

საქმით უპასუხეთ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მისალმებას შორეული აღმოსავლეთის მებადურებისადმი, თქვენ სამშობლოსაგან დაშორებულნი, ატლანტის ოკეანეში თევზის რეწვის მკაცრ პირობებში, მნიშვნელოვანი წვლილი შეგაქვთ ჩვენი რესპუბლიკის საოკეანო თევზჭერის განვითარებაში.

ძვირფასო ამხანაგებო!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ ტრალერ „საქართველოს“ კოლექტივი და ფოთის საოკეანო თევზჭერის სამმართველოს ყველა თევზსაჭერი ტრალერის ეკიპაჟები, რომლებმაც ახალი გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი იკისრეს, მთელ ძალ-ღონეს, ცოდნასა და შეძენილ გამოცდილებას მოახმარენ მათს წარმატებით შესრულებას, საგმელი თევზის პროდუქციის წარმოების გადიდებისა და თევზეულის ხარისხის გაუმჯობესების ამოცანათა რეალიზაციას.

გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო, შემდგომ შრომითს გამარჯვებებს სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ წინასწარდასახულობათა განხორციელებაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო,
საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო,
საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი.

ამ ნომერში

გამოცდას იბარებს შრომითი ზაფხული

ესაუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებსა და სკოლებში სტუდენტებსა და უფროსკლასელებს უმთავრდებათ საგნობრივი გამოცდები და ეწყებათ ცხოვრების გამოცდა — მათ უხმობს შრომითი ზაფხული, ცხოვრებას მოქალაქეობრივი სიმწიფის გამოცდა უნდა ჩაბარონ.

ტრადიციად იქცა ლენინური კომუნისტური პარტიის იდეებით შთაგონებული, კომკავშირის, უმაღლესი და საშუალო, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების აღსაზრდელი სტუდენტი და მოსწავლე ახალგაზრდობის უაღრესად აქტიური მონაწილეობა ჩვენს სახალხო-სამეურნეო სამუშაოებში.

შრომითი სემესტრი და შრომითი მეოთხედი სტუდენტი და მოსწავლე ახალგაზრდობის ჭეშმარიტ სკოლად იქცა. მატერიალურ ფასეულობასაც ქმნიან, ცხოვრების გამოცდილებასაც იძენენ. დიდი ნიკეთეა ამ პროფესიული ჩვევების გამომუშავება, ფიზიკური მომზადება და, რაც მთავარია, აქტიური საზოგადოებრივი პოზიცია, საერთო ინტერესით რომ აახლოებს ახალგაზრდებს ერთმანეთთან, უვითარებს მათ კოლექტივიზმის სულისკვეთებას.

ჩემი შრომა — სამშობლოს! — ამ დევიზის ღრმა შეგნებით გავლენ ისინი სამუშაოდ მშენებლობებზე, მინდვრად თუ პლანტაციებში. ახალგაზრდობის ამ დიდ შრომითს მოძრაობას ამკობს როგორც მატერიალური მნიშვნელობის, ისე სულიერი, იდეური მხარე. სამშობლოს ძლიერებას თავის საგრძნობ წვლილს შემატებს სტუდენტური რაზმების თითქმის თექვსმეტი ათასი მებრძოლი. დიახ, მებრძოლი! — ახალგაზრდისათვის საამაყოა ატარებდეს ამ სახელს შრომითს სემესტრში — მებრძოლი სამშობლოს ძლიერებისათვის, ხალხის კეთილდღეობისათვის! სტუდენტურ რაზმებთან ერთად დიდ ძალას წარმოადგენს ის ორასი ათასზე მეტი უფროსკლასელი, წელს მიზუთე, შრომითს მეოთხედში რომ იქნება დასაქმებული. დიდად დასაფასებელია ამ ახალგაზრდობის შემოქმედებითი აქტიურობის ზრდა, შრომაში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინიციატიურობა მონაწილეობა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ე. ა. შევარდნაძე საქართველოს სტუდენტთა რესპუბლიკური აქტივზე პარტიის XXV ყრილობის მოთხოვნათა დონეზე საბჭოთა სტუდენტების კომუნისტური აღზრდის აყვანას რომ მოგვიწოდებდა, მაღალ შეფასებას აძლევდა რესპუბლიკის აღმავლობის პროცესში ახალგაზრდობის, მათ შორის ჩვენი სტუდენტობის ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ მონაწილეობას: „მინდა ყველა თქვენგანს, თქვენი სახით კი საქართველოს მთელ ახალგაზრდობას, — მიმართავდა ამბ. ე. შევარდნაძე სტუდენტობას, — პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით გულწრფელი მადლობა გითხრათ იმ ღირსეული წვლილისათვის, რომელიც თქვენ შეგაქვთ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი განვითარების საქმეში“. ამ მშობლიურ გულთბილობას კვლავაც მხოლოდ ჯეროვანი პასუხი ეკადრება — კვლავაც დიდი უნდა იყოს ახალგაზრდობის წვლილი მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მშენებლობაში მოპოვებულ სერიოზულ მიღწევებში, აღმავლობის გზაზე მტკიცედ დამდგარ რესპუბლიკას რომ აქვს. ეს წვლილი წლევანდელმა შრომითმა სემესტრმაც და შრომითმა მეოთხედმაც უნდა გამოხატოს ახალგაზრდობის მიერ სამოცი მილიონი მანეთის გამომუშავებაში, საექსპლოატაციოდ სამოცდაოთხი ობიექტის გადაცემაში, მათ შორის თორმეტი სოფლის სკოლის, ორი საავადმყოფოს, ათი სკოლამდელ. ბავშვთა დაწესებულების, შვიდი სასოფლო-სამეურნეო სადგომის, ოცდაერთი სპორტული მოედნის აგებაში, ოთხმოცდაორი სოფლის სკოლისა და ორმოცდაერვა საბავშვო ბაღის, ფრონტზე დაღუპულ მეომართა ოთხასი ოჯახისათვის საშეფო დახმარების გაწევაში, სამაითასიანი სტუდენტური რაზმის მიერ ყურძნისა და ციტრუსის კრეფაში.

სტუდენტი და მოსწავლე ახალგაზრდობის ეს დიდი შრომითი მოძრაობა დიდ საზრუნავსაც უჩენს ყველა სამინისტროს, უწყებას, საწარმოს, მშენებლობისა თუ სასოფლო-სამეურნეო ობიექტს, რომელებსაც კი ჰაიდი საერთო აქვთ ახალგაზრდობის შრომითი ზაფხულის ორგანიზებულ მხარესთან, და, რა თქმა უნდა, კომკავშირს, რომელმაც წლების მანძილზე საუკეთესო გამოცდილება დააგროვა ამ ფრონტზე. ცხადია, მთელ ამ ზაფხულის სემესტრს არ უნდა მოაკლდეს ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ზრუნვა და დახმარება. ეს მუშაობა უნდა წარიმართოს როგორც საბჭოთა სტუდენტების კომუნისტური აღზრდის პროცესის უაღრესად აქტიური გაგრძელება. უნდა ამოქმედდეს შრომისა და დასვენების ორგანიზაციის ყველა ის ფორმა, რომლებიც პრაქტიკულად გამართლდა, ფართოდ გაიშალოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური, კულტურულ-მასობრივი და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობა. მეხუთე მეოთხედი და მესამე სემესტრი უნდა გადაიქცეს მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის მოქალაქეობრივი სიმწიფის, მოქალაქეობრივი ჩამოყალიბების სკოლად.

ჩვენს გაზეთში ამას წინათ აღნიშნული იყო ახალგაზრდობის შრომისა და დასვენების საქმეში ჯერაც შემორჩენილი ნაკლოვანებანი, რომლებიც გამოწვეულია ცალკეული ორგანიზაციებისა და მეურნეობების ხელმძღვანელთა უგულგრილობით. მათ წინასწარ არ იზრუნეს მოსწავლეთა და სტუდენტთა მიღებისათვის, ზოგმა საჭიროდაც არ ჩათვალა მოსწავლეთა შრომითი რაზმების მიღება, უარი თქვა ასეთ ქმედითს დამხმარე მუშახელზე. უფრო მეტიც: საქართველოს მშენებლობის სამინისტროს № 2 ტრესტის მეექვსე სამშენებლო სამმართველომ, მაგალითად, უარი თქვა მიეღო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტთა რაზმი.

„ჩემი შრომა ერწყმის ჩემი რესპუბლიკის შრომას“ — ამ დევიზით აიღო სტარტი რესპუბლიკის უფროსკლასელთა ზაფხულის შრომითმა მეოთხედმა. მოსწავლეთა პირველი რაზმები უკვე გავიდნენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებსა და პლანტაციებში, მეცხოველეობის ფერმებში, სამუშაოდ მიეგზავნენ სამშენებლო საწარმოებში. მათ ხელი ეფინებოდა ყოველმხრივ ხელის შეწყობა ნაყოფიერ მუშაობასა და გონივრულ დასვენებაში.

მაგრამ, სამწუხაროდ, არაოთუ შრომისა და დასვენების პირობების შექმნაზე არ უზრუნიათ, არამედ მთელმა რიგმა რაიონებმა უარიც კი განაცხადეს მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადების მიღებაზე, რის გამოც ქალაქის სკოლების სამი ათასამდე უფროსკლასელი არ არის დასაქმებული. საინტერესოა, რით ამართლებენ უფროსკლასელთა შრომითს ზაფხულში ჩაბმელობის ამ ფაქტს მაიაკოვსკის, ორამჩირის, გარდაბნის, წულუკიძისა და სხვა რაიონების მეურნეობათა ხელმძღვანელები?

სამი ათასამდე სტუდენტი იმუშავებს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ. ისინი, ვით დესპანები რესპუბლიკისა, ყველაფერში უნდა იცავდნენ სამშობლოს პრესტიჟს, სამაგალითონი უნდა იყვნენ, როგორც ყოველთვის, ყველა საქმეში — შრომაში, მეგობრობაში, კონვეარულ გართობა-დასვენებაში; შრომაში იწრთობა ახალგაზრდობა, შრომაც სწავლაა. დაე, თქვენი წლევანდელი შრომითი ზაფხული, ახალგაზრდებო, ისეთი კარგი იყოს, როგორც ეკადრება ამ ულამაზეს ალმავალ რესპუბლიკას, კომუნიზმის მშენებელ თქვენს მშობელ ხალხს!

ღირსეული გარჯით ვასახელოთ საქმეობლო!

საწარმოს ახალი სიცოცხლე

ცხინვალის ხე-ტყის კომბინატის დანადგართა პარკი მაღალმწარმოებლური ტექნიკით შეივსო, რამაც განაპირობა საწარმოო პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია.

მაგალითად, განვლილ ხუთ თვეში გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 60 ათასი მანეთის მთლიანი პროდუქცია. სოციალისტურ შეჯიბრებას სათავეში ჩაუდგა პარკეტის დამამზადებელი სამქროს კოლექტივი, რომელსაც ი. კოტაევი ხელმძღვანელობს. წელს მან დაგეგმილზე 1.400 კვადრატული მეტრით მეტი ხარისხოვანი პროდუქცია გამოუშვა. ეს წარმატება განაპირობა მ. სადკოვას და გ. ოქროკვერცხოვის მედაზგეთა ბრიგადების თავდადებულმა შრომამ და ხ. მამისთვალოვის შემფუთავთა ბრიგადის ხელშეწყობამ.

გ. თედეევი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

დამკვრელური თვეები

ზუგდიდი. („კომუნისტის“ საკ. კორ.). ხუთწლედის დამამთავრებელი წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში წარმატებებს აღწევს ჩაის საწნეხი ფაბრიკის კოლექტივი.

საწარმომ პროდუქციის გამოშვების ხუთი თვის გეგმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა და სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით ასი ათასამბითი მანეთის ჩაი მიაწოდა. შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით წარმოების ზრდის ტემპმა 12,5 პროცენტი შეადგინა.

ახალსოფლელები სიტყვას ასრულებენ

ხელვაჩაური. (საკ. კორ.). დიდი თუ პატარა, კოლმეურნე თუ მოსამსახურე ჩაის ბუჩქებს დასტრიალებს, ისინი იბრძვიან იმისათვის, რომ უამინდობით გამოწვეული ჩამორჩენა 20 ივლისისათვის დაძლიონ.

— ჩაი უხვად არის შემოსული. ფაბრიკა რომ ასწრებდეს მოზღვავებული ფოთლის გადამუშავებას, ჩვენ უფრო მეტად გავიორკეცებოდით, — გვითხრა ახალსოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ზ. კახიძემ, და ამაში თავადაც დავრწმუნდით. — გონოოს ჩაის ფაბრიკა მთელი დატვირთვით მუშაობს, მაგრამ მაინც ვერ ასწრებენ ნედლეულის გადამუშავებას.

ახალსოფლელებმა წლეულს 1262 ტონა ჩაის ფოთოლი უნდა მოკრიფონ. უამინდობის გამო მაისის გეგმის ნახევარი ძლივს შეასრულეს. ბუჩქები გვიან შევიდა ვეგეტაციაში. ახლა კი ნამდვილი შრომითი ლაშქრობაა. ყოველდღე 8-10 ტონა იკრიფება. № 3 ბრიგადის ნაკვეთში შევედით. დღის 12 საათი იყო. მოწინავე მეჩაიეს ფატი ხალვაშს უკვე 40 კილოგრამი ჰქონდა მოკრეფილი. დღის ბოლომდე 120 კილოგრამს მოკრეფო — გვითხრა ფატიმ.

მაყვალა წულუკიძე, ფატი გოგიტიძე, მერიმ ბერიძე და ასობით სხვა ყოველდღიურ დავალებას სამმაგად ასრულებენ. ისინი გამთენიიდან ჭიაან საღამამდე პლანტაციებში ტრიალებენო, გვითხრა თავმჯდომარემ.

ახალსოფლელებს შეგნებული აქვთ, რომ წელს იმდენი მოსავალი უნდა მოიწონონ, რამდენიც არასდროს მოუყვანიათ, პარტიის XXVI ყრილობას ახალი შრომითი გამარჯვებებით უნდა შეხვდნენ.

მ. გოგრგილაძე.

გეჯითი ტრაქტორისტი



ბუნადი არათანაგვეზელა 1968 წელს დაამთავრა ბარდაბნის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი ტრაქტორისტის სპეციალობით. შემდეგ სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოიხადა პირნათლად ვალი. დაბრუნებისთანავე მზოგლიურ სოფელ მაადიჯვარს დაუბრუნდა და „საქსახსოფლტექნიკის“ დუშეთის რაიონულ გაერთიანებაში დაიწყო მუშაობა.

კომკავშირელი ტრაქტორისტი ძირითადად კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მუშაობდა ვაზისა და ხილის გაღების გაშენებაზე. ამჟამად თავისი სოფლის მეფერმეობის მშენებლობის ფაბრიკის მშენებლობაზე ზრუნავს და ყოველთვიურ გეგმებს გადაჭარბებით — 130-140 პროცენტით ასრულებს. იგი საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატია.

✦✦✦

სურათზე: გ. არათანაგვილი.
ვ. გენგიურის ფოტო.

საქმეთ გამოაჩინა

მეგობრული შეხვედრა

18 ივნისს გაიმართა შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. პ. კირილენკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების გამგის მოადგილე კ. ნ. ბრუტენცი და ლიბანის პროგრესულ-სოციალისტური პარტიის თავმჯდომარე ვ. ჯუმბლათი და მისი თანმხლები პირი ს. ფრანჯიე.

საუბრის დროს, რომელმაც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, ლიბანელ სტუმრებს გააცნეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებანი საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში.

შეხვედრის მონაწილეებმა აღნიშნეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ვარშავის ხელშეკრულების პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირის მიერ წამოყენებულ ინიციატივებს მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებისათვის, დაძაბულობის შენელების შენარჩუნებისა და ომის თავიდან აცილებისათვის. მათ გამოთქვეს რწმენა, რომ თათბირის დოკუმენტები საბავშვო საერთაშორისო დაძაბულობის კერების აღმოფხვრის ეფექტიან ღონისძიებებს, მათ შორის ახლო და შუა აღმოსავლეთში. მათი რეალიზაცია ხელს შეუწყობს იმას, რომ ბოლო მოეღოს ანტიარაბული სეპარატული გარიგებების პოლიტიკას და იმპერიალიზმისა და სიონიზმის მიზეზით ამ რაიონში არსებული კონფლიქტის გადაწყვეტის საქმე წარიმართოს ერთადერთი სწორი კალაპოტით — ყველა დაინტერესებული მხარის, მათ შორის პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის კოლექტიური მეცადინეობის გზით, რათა მიაღწიონ სამართლიან ყოვლისმომცველ მოწესრიგებას.

მხარეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ახლო აღმოსავლეთში კონფლიქტის სამართლიანი მოწესრიგება ხელს შეუწყობს იმას, რომ სასიკეთო პირობები შეიქმნას აგრეთვე ლიბანის მდგომარეობის ნორმალიზაციისათვის, ლიბანის წინაღმდეგ ისრაელისა და მისი მარიონეტების აგრესიის აქტების შეწყვეტას.

ვ. ჯუმბლათმა ილაპარაკა ლიბანის პროგრესულ-სოციალისტური პარტიისა და სხვა ეროვნულ-პატრიოტული ძალების საქმიანობის შესახებ, რომლის მიზანია ლიბანის ჯრიზისის პოლიტიკური მოწესრიგება. ამასთან დაკავშირებით ითქვა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კონსტრუქციულ დიალოგს ქვეყნის სხვადასხვა პარტიისა და ორგანიზაციის მონაწილეობით, აღინიშნა, რომ მხარის უფლებანი ლიბანელ პატრიოტთა მეცადინეობის და ლიბანის რესპუბლიკის კანონიერ ხელისუფალთა ღონისძიებებს მისი ეროვნული დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად იმპერიალიზმისა და მისი დამქაშების ხელყოფისაგან.

ვ. ჯუმბლათმა მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას და მადლობა გადაიხადა ლიბანელი ხალხის ანტიიმპერიალისტური ბრძოლის, მისი ეროვნული მისწრაფებების მხარდაჭერისთვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და პროგრესულ-სოციალისტური პარტიის წარმადგენლებმა დაადასტურეს, რომ ორივე პარტია ისწრაფვის კვლავაც განავითარონ მათი მეგობრული ურთიერთობა, მხარი დაუჭირეს საბჭოთა კავშირ-ლიბანის მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებას. (საკ.).

სიბერეს ასრულებენ

ბუნებრივ ფენომენად ითვლება, ადამიანი ასაკოვნდება, ბერდება, ბოლოს ბერ-ბერ ბებერ-ბებერ ხდება, ბოლოს ... ბოლოს ... ბოლოს ...

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲖᲠᲣᲜᲕᲐ ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲡ!

ᲤᲝᲗᲝᲗᲘ. (საკ. კორ. გ. ნოდია). გაიმართა პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა საკითხი — „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის შედეგები და ქალაქის პარტიული ორგანიზაციების ამოცანები კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის საქმეში“. მოხსენება გააკეთა პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ბ. გულუამ.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა — ნავსადგურის პოლიტიკური განათლების კაბინეტის გამგემ ი. კოგანმა, საოკეანო თევზჭერის სამმართველოს პარტკომის მდივანმა გ. დოლბაიამ, წისქვილ-ქარხნის დირექტორმა ა. ხორავამ, ელექტრომანქანური გამაძლიერებლების ქარხნის მუშამ, საამქრო პარტორგანიზაციის მდივანმა გ. გამზარდიამ, ქალაქის პროკურორმა ჯ. კიკაბიძემ და სხვებმა აღნიშნეს, რომ ბოლო ხანს დადებითი ძვრები მოხდა კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის საქმეში.

პარტიის საქალაქო კომიტეტის მუდმივი ზრუნვის საგანი გახდა ხელმძღვანელი კადრების სწორი შერჩევა, აღზრდა და დაწინაურება. პლენუმმა გააანალიზა მათი საქმიანობა, რომელიც დიდად განსაზღვრავს ქალაქის აღმასლას, მისი ეკონომიკური და კულტურული პოტენციალის ზრდას. ეს თვალსაჩინოდ გამოჩნდა იმ ფაქტითაც, რომ მეათე ხუთწლედის ოთხი წლის გეგმა ჯერ კიდევ გასული წლის 18 დეკემბრისათვის შესრულდა. წლეულს 10 ივნისისათვის ქალაქის მრეწველობამ მთლიანი პროდუქციის გამოშვების ნახევარი წლის გეგმა გაანაღდა.

მაგრამ ამასთან ერთად, აღინიშნა პლენუმზე, კადრების შერჩევის, აღზრდისა და განაწილების საქმეში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებია. სრულყოფას მოითხოვს სახალხო მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ფორმები და მეთოდები. დაუფარავად ითქვა, რომ სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო ორგანიზაციების ხელმძღვანელები, საშუალო რგოლის კადრები ყოველთვის ვერ უზრუნველყოფენ იმას, რომ შრომითი კოლექტივები დარაზმონ გეგმებისა და ვალდებულებების რიტმული შესრულებისათვის, მუდამ ვერ ახერხებენ მშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებას, მუშათა დენადობის ლიკვიდაციას.

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ნ. ენუქიძემ.

პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილება.

✦✦

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲘᲐ ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲘᲡ ᲔᲚᲩᲘ

19 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ ერევნდან თბილისს ჩამოვიდა ავსტრიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ჰერალდ ხინტერეგერი მეუღლეთურთ.

იმავე დღეს ავსტრიელმა სტუმარმა დაათვალიერა ქალაქი და მისი ღირსშესანიშნავი ადგილები. ეწვია საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენას და სამხატვრო აკადემიას.

იგი თბილისში სამ დღეს დაჰყოფს და შეხვდება რესპუბლიკის ხელმძღვანელებს, დაათვალიერებს ქალაქის კულტურულ და სპორტულ ცენტრებს, ჩავა მცხეთაში. (საქინფორმი).

✦✦

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲯᲐᲯᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲨᲘ

1980 ᲬᲚᲘᲡ 10-16 ივლისს სტენდალის, მაგდებურგის, კოტბუსის, ბრანდენბურგის რაიონში დაგეგმილია მოეწყოს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე დროებით მყოფი საბჭოთა ჯარების წერთნა იმ მიზნით, რომ განისაზღვროს სახმელეთო ჯარებისა და სამხედრო-საჰაერო ძალების ნაწილებისა და ქვეგანაყოფების მომზადებისა და მოქმედების კოორდინირების დონე.

წვრთნის მონაწილე ჯარების საერაუდო რიცხვი დაახლოებით 30 ათასი კაცია.

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔ ᲙᲐᲪᲝᲑᲠᲘᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. „გამალებული“ შეიარაღება და „კაცობრიობა“ — ასეთია თემა საზოგადოებრივი ორგანიზაციების კონფერენციისა, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინაში გაიხსნა. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ 50-ზე მეტი ქვეყნის წარმომადგენლები.

მიმართა რა კონფერენციის მონაწილეებს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა კ. ვალდჰაიმმა ხაზი გაუსვა, რომ გამალებული შეიარაღება შეუთავსებელია საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების, ადამიანთა ცხოვრების გაუმჯობესების, შიმშილისა და ავადმყოფობის ლიკვიდაციის ფონისძიებებთან. მან დამსწრეთ მოუწოდა კონკრეტული ნაბიჯი გადადგან გამალებული შეიარაღების ალაგმვის გზაზე და განთავისუფლებული საბსრები გამოიყენონ მშვიდობიანი განვითარების საჭიროებისთვის.

პირველმა მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ვ. გ. ტრუხანოვსკიმ. მან აღნიშნა, რომ ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირზე საბჭოთა კავშირმა და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნებმა წამოაყენეს ღონისძიებათა რეალისტური პროგრამა, რომელიც პრაქტიკულად გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და განიარაღების ყველა ასპექტს მოიცავს.

საბჭოთა მეცნიერმა ყურადღება მიაპყრო იმ განსაკუთრებულ საშიშროებას, „რომელსაც შეიცავს ნატოს გადაწყვეტილება საშუალო სიშორის ახალი ამერიკული რაკეტულ-ბირთვული საშუალებების წარმოებისა და დასავლეთ ევროპაში განლაგების შესახებ. ამ გადაწყვეტილების პრაქტიკულ განხორციელებას მოჰყვება ევროპის კონტინენტზე მდგომარეობის მკვეთრი გამწვავება. დამანგრეველი პოტენციალის გადიდება ევროპაში უცილობლად გავლენას მოახდენს პოლიტიკურ კლიმატზე და დამატებითს საფრთხეს შეუქმნის ხალხთა საარსებო ინტერესებს. ომის საფრთხის გაძლიერება კონტინენტზე ავტომატურად გამოიწვევს მთლიანად საერთაშორისო ვითარების გაუარესებას, თქვა მან.

კონფერენციის მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს, რომ საჭიროა შეინარჩუნონ ყოველივე ის პოზიტიური, რასაც წინა ათწლეულში მიაღწიეს გამალებული შეიარაღების შეკავების დარგში, გადაარქმევენ 80-იანი წლები მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფისათვის ბრძოლაში ძირეული გარდატეხის ათწლეულად.

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝ ᲛᲝᲚᲕᲐᲬᲔᲗᲐ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲙᲐᲘᲠᲝ. 19 ივნისი. ეგვიპტის თვალსაჩინო პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეთა, მათ შორის ყოფილ ვიცე-პრეზიდენტთა, პრემიერ-მინისტრთა, მინისტრთა, ცნობილ ადვოკატთა და ჟურნალისტთა ჯგუფმა აქ გაავრცელა განცხადება, რომელშიც მკაცრად აკრიტიკებს ეგვიპტის რეჟიმის ახლანდელ საახლოაღმოსავლეთო პოლიტიკას.

დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ ეგვიპტის პოლიტიკური კურსი რეგიონში ამჟამად ფაქტობრივად ეწინააღმდეგება იმ კურსს, რომელსაც 70-იანი წლების დამდეგს დაადგა, როცა პრეზიდენტმა სადათმა დაიკავა სახელმწიფოს მეთაურის პოსტი.

ჩვენ მხარს ვუჭერთ მოუმხრობლობის პოლიტიკას და საჭიროდ მიგვაჩნია დიდ სახელმწიფოებთან და სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობა ვაწარმოოთ ეროვნული და საერთო-არაბული ინტერესების ფარგლებში, მიზნად ვისახავთ დავამყაროთ რეგიონში ნამდვილი, სამართლიანი მშვიდობა, შეგნებული გვაქვს სიონიზმთან შერიგების კემპ-დევიდის პოლიტიკის სრული ჩაფუშვა, აგრეთვე ის ფაქტი, რომ ეგვიპტის ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური განვითარება შესაძლებელია მხოლოდ არაბული სამყაროს ფარგლებში, ვისწრაფვით ვიხსნათ ეგვიპტელი ხალხი მძიმე ტანჯვისაგან, რომელიც ეკონომიკური კრიზისის შედეგია და აღვადგინოთ მისი დემოკრატიული უფლებები, ნათქვამია განცხადებაში. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია განხორციელდეს შემდეგი სასწრაფო ღონისძიებანი: შეიქმნას ეროვნული ერთობის მთავრობა, რომელიც გაუქმებს ყველა კანონს, ეგვიპტელ მოქალაქეთა თავისუფლებებსა და უფლებებს რომ ზღუდავს, და სამი თვის განმავლობაში ჩატარდეს საყოველთაო არჩევნები ეროვნული დამფუძნებელი კრების ჩამოყალიბების მიზნით დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის შემუშავებისათვის, გაიყინოს შეთანხმებანი, შეწყდეს ყოველგვარი კავშირი ისრაელთან, დაისვას ეს საკითხი დამფუძნებელი კრების წარმომადგენელთა განსახილველად კემპ-დევიდისადმი ალტერნატიული პოლიტიკის შემუშავებისათვის, რომელიც დაბრუნებს ეგვიპტეს არაბთა განმათავისუფლებელი მოძრაობის რიგებში, აღუდგენს ლიდერის პოზიციებს საერთაშორისო ასპარეზზე და მიუმხრობლობის მოძრაობაში.

მიმართვის ავტორები აგრეთვე მოუწოდებენ სასწრაფო წესით მოიწვიონ უმაღლესი დონის საზოგადოებრივი თათბირი სხვა არაბულ ქვეყნებთან ეგვიპტის ურთიერთობის აღდგენისა და მოქმედების გეგმის შემუშავებისათვის, რომელიც განსაზღვრავს თითოეული ქვეყნის პოლიტიკურ, სამხედრო და ეკონომიკურ პასუხისმგებლობას სიონისტური სამშვიდობისაგან დაცვის მიზნით.

ᲘᲝᲠᲓᲐᲜᲘᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ ᲣᲪᲕᲚᲔᲚᲘᲐ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. აქ მოლაპარაკებას შეუდგნენ პრეზიდენტი ჯ. კარტერი და ამერიკის შეერთებულ შტატებში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოსული იორდანიის მეფე ჰუსეინი.

თეთრი სახლის წარმომადგენელმა ჯ. პაუელმა თქვა, რომ პირველმა შეხვედრამ დაგეგმილზე ერთი საათით მეტხანს გასტანა. მისი თქმით შეხვედრის დროს განიხილეს ბევრი საერთაშორისო საკითხი, მათ შორის ახლო აღმოსავლეთის პრობლემების მოწესრიგება, ახლო აღმოსავლეთსა და სამხრეთ-დასავლეთ აზიაში შექმნილი ვითარება. მოლაპარაკება, ხაზი გაუსვა პაუელმა, „ძალზე ღია“ იყო. თეთრი სახლის წარმომადგენლის ამ განცხადების განმარტებისას, ენ-ბი-სის სატელევიზიო კომპანიის კორესპონდენტმა აღნიშნა: „დიპლომატიური ენიდან თუ გადმოვთარგმნით, ეს ფრაზა ნიშნავს, რომ მოლაპარაკება ძალზე დაძაბული იყო“.

ვაშინგტონში მეფე ჰუსეინის ვიზიტს უკავშირებდნენ დიდ იმედებს, რომლებშიც მჭიდროდ იყო გადახლართული როგორც კარტერის პირადი მისწრაფებანი, ისე ახლო აღმოსავლეთში ამერიკის იმპერიალიზმის შორს გამიზნული საგარეო-პოლიტიკური ზრახვანი. ვაშინგტონი იორდანიას მიიჩნევს საკვანძო ქვეყნად, რომელსაც შეუძლია „გამოაცოცხლოს“ ეგრეთ წოდებული „კემპ-დევიდის პროცესი“, რომელსაც კარტერის ადმინისტრაცია თავის უდიდეს მიღწევად და „კოზირად“ თვლის პრეზიდენტის საარჩევნო სტრატეგიაში.

მაგრამ „ჯიქურ შეტევას წარმატება არ მოჰყოლია. როგორც გაზეთი „ვაშინგტონ სტარი“ წერს, იორდანიამ არ გაიზიარა ვაშინგტონის პრეტენზიები და გაბაცხადა, რომ არ აპირებს თავისი პოზიციის შეცვლას ახლო აღმოსავლეთის პრობლემის სამართლიანი და აყოლიანებული მოწესრიგების მიმართ.

ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲐ ᲮᲕᲐᲚ

ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ერების ორგანიზაციის ექსპერტთა აზრით, მსოფლიოში შობადობის შემცირების დასახული ტენდენცია ოთხმოციან წლებშიც დარჩება. ახლა მსოფლიოს მოსახლეობის ზრდის ტემპი დაახლოებით 1,8 პროცენტს შეადგენს, საუკუნის მიწურულისათვის კი 1,6 პროცენტამდე შემცირდება.

მიუხედავად ამისა, დედამიწის მოსახლეობა ოცი წლის განმავლობაში 4,4-დან 6,2 მილიარდამდე გაიზრდება. მსოფლიოს მოსახლეობის მატების 90 პროცენტი მოდის სუსტად განვითარებული ქვეყნების მცხოვრებთა რიცხვის ზრდაზე. ეს კი სოციალური უთანასწორობის გაღრმავებასაც გამოიწვევს.

მოსახლეობის ზრდის ტემპი სხვადასხვა რეგიონში განსხვავებული იქნება. მაგალითად, ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში მოსახლეობის რიცხვი შემცირდება. ლათინური ამერიკის ქვეყნებს შორის მოსახლეობა ყველაზე სწრაფად მატულობს მექსიკაში, სადაც საუკუნის ბოლოსათვის მცხოვრებთა რიცხვი გაორკეცდება. აზიაში 2 000 წლისათვის იცხოვრებს 2,6 მილიარდი კაცი ანუ ახლანდელზე მილიარდით მეტი.

მე-20 საუკუნის დამლევისათვის ქალაქებში ორჯერ მეტი ადამიანი იცხოვრებს. განვითარებულ ქვეყნებში მოსახლეობის სამი მეოთხედი იცხოვრებს ქალაქებში, განვითარებადს ქვეყნებში კი — ნახევარი. გიგანტური ქალაქების სიას სათავეში ჩაუდგება 31-მილიონიანი მეხიკო. შემდეგ იქნება სან-პაულუ (25,8 მილიონი კაცი), ტოკიო (24,2 მილიონი), ნიუ-იორკი (22,8 მილიონი), შანხაი (22,7 მილიონი).

ᲒᲐᲚᲐᲭᲠᲘᲗ ᲒᲛᲝᲑᲔᲑᲘ

ᲝᲡᲚᲝ, 19 ივნისი. ნორვეგიის კომუნისტური პარტიის ორგანომ „ფრიჰეტენმა“ მკაცრად დაგმო ჩინეთის ხელმძღვანელობის კურსი, რომელიც ძირს უთხრის დაძაბულობის შენელებას. ეს კურსი მკაფიოდ გამოვლინდა ნორვეგიაში ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ხუან ხუას ამასწინანდელი მოგზაურობის დროს.

„ნორვეგიაში მოგზაურობის დროს,— წერს გაზეთი,— ხუან ხუამ დაძაბულობის შენელების, განიარაღებისა და მშვიდობის შესახებ იდეები, აზრები და წინადადებები კი არ წამოაყენა, არამედ სულ სხვა რამეს გადაჰყვა. მას პირზე ეკერა მხოლოდ „ცივი ომი“, გამალებული შეიარაღებისა და საომარი მზადების მოწოდებანი“.

ნორვეგიის პრემიერ-მინისტრთან ო. ნურდლისთან და საგარეო საქმეთა მინისტრთან კ. ფრიუდენლუნდთან საუბრების დროს ხუან ხუამ გაიმეორა ეგაცვეთილი ლოზუნგები, მესამე მსოფლიო ომი გარდაუვალია და ამ ომისათვის მზადება აუცილებელიაო. გაზეთი აღნიშნავს, რომ ამ საომარ მოწოდებებს ეხმაურებიან დასავლეთის, კერძოდ ამერიკის შეერთებული შტატების გარკვეული წრეები, რომლებსაც ჩინეთი თავიანთ პოტენციურ სამხედრო მოკავშირედ მიიჩნიათ.

„ფრიჰეტენი“ ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ დასავლეთის ქვეყნები, რომლებიც აქეზებენ ჩინეთის ანტისაბჭოურობას და თავისი მიზნებისათვის იყენებენ მას, შეგნებულად არიდებენ თვალს ჩინეთის ძირგამომთხრელ როლს ავღანეთში, მის შეიარაღებულ პროვოკაციებს ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის წინააღმდეგ.

ხუან ხუას პროპაგანდისტული გამოხდომები, წერს დასასრულ გაზეთი, მიმართულია დაძაბულობის შენელების, განიარაღებისა და მშვიდობის წინააღმდეგ.

ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲐ ᲮᲕᲐᲚ

ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ერების ორგანიზაციის ექსპერტთა აზრით, მსოფლიოში შობადობის შემცირების დასახული ტენდენცია ოთხმოციან წლებშიც დარჩება. ახლა მსოფლიოს მოსახლეობის ზრდის ტემპი დაახლოებით 1,8 პროცენტს შეადგენს, საუკუნის მიწურულისათვის კი 1,6 პროცენტამდე შემცირდება.

მიუხედავად ამისა, დედამიწის მოსახლეობა ოცი წლის განმავლობაში 4,4-დან 6,2 მილიარდამდე გაიზრდება. მსოფლიოს მოსახლეობის მატების 90 პროცენტი მოდის სუსტად განვითარებული ქვეყნების მცხოვრებთა რიცხვის ზრდაზე. ეს კი სოციალური უთანასწორობის გაღრმავებასაც გამოიწვევს.

მოსახლეობის ზრდის ტემპი სხვადასხვა რეგიონში განსხვავებული იქნება. მაგალითად, ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში მოსახლეობა ოცდაერთ მუჭა ექსპლოატატორებზე.

როგორც კი სსრ კავშირში მთლიანად და საბოლოოდ გაიმარჯვა სოციალიზმმა, აშენდა მომწიფებული სოციალისტური საზოგადოება და მოსახლეობის ყველა ფენა მუშათა კლასის იდეურ-პოლიტიკურ პოზიციებზე გადავიდა, პროლეტარიატის დიქტატურამ ჩვენს ქვეყანაში ამოწურა თავისი ისტორიული მისია. საბჭოთა სახელმწიფო საერთო-სახალხო სახელმწიფოდ გადაიქცა. ახლა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა მეცნიერული წინასწარმეტყველება პროლეტარიატის დიქტატურის გარდამავალი ხასიათის შესახებ.

ლენინი, რომელიც განმარტავდა რევოლუციის ძირითად კანონზომიერებათა საყოველთაო ხასიათს და ბოლშევიზმის გამოცდილების გამოყენების საჭიროებაზე მიუთითებდა, ამასთანავე დაბეჯითებით ურჩევდა მომმე პარტიებს დაეხსომებინათ, რომ მარქსიზმი დოგმა კი არა, მოქმედების სახელმძღვანელოა, და მოუწოდებდა მათ შემოქმედებითად გამოეყენებინათ კომუნიზმის ზოგადი პრინციპები კონკრეტულ-ისტორიულ პირობებში.

ლენინის დებულება იმის შესახებ, რომ ინტერნაციონალური პრინციპები და ეროვნული თავისებურებები სწორად უნდა იყოს შეფარდებული, კლასიკური სახელმძღვანელო წესი გახდა როგორც მთელი კომუნისტური მოძრაობისათვის, ისე ყოველი მარქსისტული პარტიისათვის. ევროპისა და აზიის მთელ რიგ ქვეყნებში და კუბაში სოციალიზმის მშენებლობამ, ეროვნული თავისუფლებისათვის, კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბევრი ქვეყნის ძლევამოსილმა ბრძოლამ, მათ მიერ სოციალისტური განვითარების გზის არჩევამ დაამტკიცა ლენინური იდეების ცხოველმყოფელობა.

ᲗᲐᲕᲘᲡ გენიალურ ნაშრომში ვ. ი. ლენინმა ღრმად და დამაჯერებლად განგვიმარტა რევოლუციური პროლეტარული პარტიის მოქმედების სტრატეგია და ტაქტიკა. მან დაასაბუთა კონკრეტული ვითარების შესაბამისად მუშაობის ფორმების, ბრძოლის ხერხებისა და მეთოდების გამოყენების აუცილებლობა. პარტია მზად უნდა იყოს მშვიდობიანი და არამშვიდობიანი გზით ძალაუფლების მოსაპოვებლად, უნარიანად უნდა უხამებდეს ერთმანეთს არალეგალურ და ლეგალურ ფორმებს, იყენებდეს საპარლამენტო საქმიანობას და ამასთანავე მასობრივ გაფიცვებსა და დემონსტრაციებს. ფლობდეს აგიტაციისა და პროპაგანდის ყველა ფორმას — ზეპირს, ბეჭდვითს, წრეობრივს, მასობრივს და სხვა ფორმებს; პარტიას უნდა შეეძლოს შეტევაც და უკან დახევაც, როცა ეს საჭიროა, რევოლუციის საქმისათვის სასარგებლო კომპრომისების, ტაქტიკის გამოყენება. მაგრამ ბრძოლაში ჩაბმა მაშინ, როცა ეს ხელსაყრელია მტრისთვის, რევოლუციურობა კი არა, დანაშაულია.

ლენინი კომუნისტებს ასწავლიდა თავიანთი პოლიტიკა აეგოთ თითოეული კონკრეტული ქვეყნის სიტუაციის გულმოდგინე ანალიზის საფუძველზე. დაენახათ კლასობრივი ძალების თანფაარდობა საერთაშორისო მასშტაბით, დაყრდნობოდნენ მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის გამოცდილებას.

ლენინი ასაბუთებდა რევოლუციური, ანტიიმპერიალისტური ძალების, ფართო კლასობრივი კავშირების ერთიანობის სტრატეგიას, და გვირჩევდა პოლიტიკური პრინციპულობა, კომუნისტური იდეების ერთგულება შეგვეხამებინა აუცილებელ პრაქტიკულ კომპრომისზე დათანხმების უნართან, გამოგვეყენებინა მტრებს შორის არსებული თუნდაც უმცირესი ბზარი, თუნდაც უმცირესი შესაძლებლობა მასობრივი მოკავშირის მოსაპოვებლად. იგი წარმართავდა კომუნისტებს ბრძოლის ისეთი ლოზუნგების გამოსაძებნად, რომლებიც ყველაზე სრულად გამოხატავდა მშრომელთა ინტერესებს, ხელს შეუწყობდა მათს პოლიტიკურ აღზრდას.

ლენინური დებულებები კომპარტიების სტრატეგიისა და ტაქტიკის საფუძვლების შესახებ, რევოლუციის მომწიფების ობიექტური პროცესების, მისი მომზადების და განხორციელების კანონ ე ბ ი ს, კლასობრივი ბრძოლის ხელმძღვანელობის პრინციპების ანალიზი ეხმარებოდა და ეხმარება კომპარტიებს გამონახონ მასებთან ახლოების, თავიანთი ხელმძღვანელობით მათი შეკავშირების და გაერთიანების ყველაზე სწორი გზები. ლენინის იდეები არ კარგავს თავის აქტუალობას, განსაზღვრავს კომუნისტური მოძრაობის სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავების მეთოდოლოგიას, გვიჩვენებს მსოფლიო რევოლუციური პროცესის ყველაზე რთული პრობლემების გადაჭრის გზებს. ლენინური სტრატეგიის ცენტრალური რგოლია დემოკრატიისათვის ბრძოლისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის მჭიდროდ შერწყმის დებულება. დღეს საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობა თანამედროვეობის ყველაზე გავლენიან პოლიტიკურ ძალად გადაიქცა.

Ф. ᲤᲘᲠᲡᲝᲕᲘ,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

ᲛᲡᲛᲐᲠᲔᲑᲘᲐᲜ ᲐᲜᲢᲘᲐᲮᲐᲚᲮᲣᲠ ᲠᲔᲟᲘᲛᲡ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 18 ივნისი (საკ. ინ.) ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის სენატმა ხმა მისცა სამხედრო ჯარისთვის 175 მილიარდი დოლარის გამოყოფას, რომელიც ძირითადად მოხმარდება სეულის შეიარაღებული ძალებისათვის ამერიკული იარაღის შესყიდვას.

კონგრესის ზედა პალატის ეს გადაწყვეტილება ახალი ნაბიჯი გახდა ამერიკის მიერ ანტიხალხური, კორუფციული რეჟიმის სამხედრო მხარდაჭერის ზრდის გზაზე, რითაც ვაშინგტონი ფაქტობრივად განამტკიცებს სამხრეთ კორეის ოკუპაციას დიდი ხნით. როგორც ამერიკის პრესა აღნიშნავს, პენტაგონში დიდი ხანია დაივიწყეს კარტერის ადმინისტრაციის მრავლისაღმოქმელი განცხადებები, რომელმაც პირობა დადო, რომ თეთრ სახლში მისვლის შემდეგ ამერიკის ჯარებს გამოიყვანდა სამხრეთ კორეიდან. ახლა იქ ამერიკის შეერთებული შტატების 40 ათასამდე სამხედრო მოსამსახურეა. მათ განკარგულებაშია უახლესი იარაღი. მათ შორის ტაქტიკური ბირთვული რაკეტები. როგორც გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“ აღნიშნავს, „ამერიკის შეერთებულ შტატებს არა აქვს სამხრეთ კორეიდან ჯარების გამოყვანის გეგმები“, ესე იგი ფაქტობრივად ისინი იქ განლაგებული არიან დიდი ხნით.

დღენიადაგ ფართოვდება ამერიკის სამხედრო მიწოდება სეულისათვის, მათ შორის თვითმფრინავების, ტანკების, ქვემეხებისა და უახლესი საბრძოლო ტექნიკისა.

მოკლედ

ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ

19 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

● **ᲞᲐᲠᲘᲖᲘ.** ახალი სახალხო-სამეურნეო ობიექტი შეიმატა სოციალისტური ვიეტნამის ახალ მშენებლობათა სიას. სამხრეთ ვიეტნამის დონგნაის პროვინციაში საეკსპლოატაციოდ გადასცეს ნატრიუმის სილიკატის საწარმოო ქარხანა.

● **ᲑᲔᲘᲠᲣᲗᲘ.** ისრაელისა და მისი აგენტების — სამხრეთლიბანელი სპპარატისტების არტილერიამ ინტენსიური ცეცხლი დაუშინა ისრაელის მოსაზღვრე ზონის აღმოსავლეთი და ცენტრალური სექტორების დასახლებულ პუნქტებს. თავდასხმის შედეგად აღ-ჰრეიბში, ქფარჰამმსა და სხვა სოფლებში დაინგრა ბევრი შენობა, აფეთქებებმა ხანძრები გამოიწვია.

● **ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ.** ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტებმა მნიშვნელოვან გამარჯვებას მიაღწიეს საარჩევნო კამპანიის მსვლელობაში. პროგრესული ძალების ზეგავლენით კანზასის შტატის ხელისუფლებამ კენჭისყრის სიებში შეიტანეს ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის გენერალური მდივანი გ. ჰოლი და კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ა. დევისი, რომლებიც კომუნისტების კანდიდატები არიან შეერთებული შტატების პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე.

ᲖᲝᲒᲘ ᲠᲐᲛ ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ

ᲘᲡᲔᲕ ᲒᲐᲠᲝᲖᲒᲕᲐ

ᲡᲡᲠ-ᲐᲜᲓᲚᲔᲡᲘᲡ სასკოლო ხელისუფლებამ გადაწყვიტეს ყველა დაწყებითს სკოლაში აღადგინონ გარეზგვა, რომელიც ოთხი წლის წინათ გაუქმეს. ადმინისტრაცია, საგანგებოდ, იძულებული იყო ეღიარებინა, რომ გაუროზგავად წესრიგს ვერ ამყარებს სკოლაში.

ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲖᲠᲣᲜᲐᲕᲘ

ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ კამპანია ამერიკის შეერთებულ შტატებში საკმაოდ ძნელი საქმეა. საზრუნავი მარტო პრეზიდენტობისათვის ბრძოლის მონაწილეებს როდი აქვთ. მუდამ დაძაბული და „საბრძოლოდ გამზადებულია“ ამ დროს საიდუმლო სამსახურიც, რომელიც პასუხს აგებს სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობის პრეზიდენტთა უშიშროებისათვის. მის სიაში ახლა ირიცხება 400 კაცი, რომლებსაც, სპეციალისტების აზრით, შეუძლიათ ჩაიდინონ პოლიტიკური მკვლელობა. ასევე აქვთ ცნობები ამერიკის შეერთებული შტატების 30 ათას მოქალაქეზე, რომლებსაც დროდადრო შემოწმება სჭირდებათ. საიდუმლო სამსახური ჯერჯერობით კარგად ასრულებს თავის მოვალეობას. პრეზიდენტობის პრეტენდენტები ქმაყოფილნი არიან. მიუხედავად ამისა, მას მაინც უჩივიან... ჟურნალისტები. ისინი აცხადებენ, „ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს დამცველთა მთავარი ამოცანა პრესის წარმომადგენლებისაგან პრეტენდენტების დაცვა იყოსო“.

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲝᲗᲔᲙᲐ — ᲡᲐᲥᲘᲜᲔᲑᲔᲚᲘ

ᲑᲔᲠᲫᲜᲘᲠᲘ საგრაფოს (დიდი ბრიტანეთი) სამკითხველო დარბაზში როდი ისმის ფურცლების შრიალი და კალმების წრიპინი. აქ ახალი ჟურნალ-გაზეთების წასაკითხად კი არა, მყუდრო სავარძლებში ტკბილად დასაძინებლად უფრო მოდიან. ბოლო ხანს ბიბლიოთეკაში ძილის მოყვარულთა რიცხვი იმდენად გაიზარდა, რომ საგრაფოს საბჭო იძულებული გახდა მათ წინააღმდეგ გადამწყვეტი ზომები მიეღო — მკაცრი გაფრთხილებიდან ფულად ჯარიმამდე.

„ᲠᲐᲙᲔᲢᲘᲡ“ ᲘᲣᲒᲘᲚᲔ

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲔᲚᲔᲑᲨᲘ ზეიმით აღნიშნეს პირველი რკინიგზის 150-ე წლისთავი. 1830 წელს ლივერპულსა და მანჩესტერს შორის გაყვანილ ლინდაგებზე გაიარა მატარებელმა, რომელსაც მიჰყავდა მგზავრები და მიჰქონდა ფოსტა. ეს იყო პატარა ორთქლმავალი „რაკეტა“. მისი სიჩქარე საათში 14 კილომეტრს აღწევდა.

ᲗᲔᲝᲠᲘᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ

Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ „ᲛᲔᲛᲐᲠᲪᲮᲔᲜᲔᲝᲑᲘᲡ“ ᲡᲐᲧᲛᲐᲬᲕᲘᲚᲝ ᲡᲔᲜᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲖᲛᲨᲘ“

ᲛᲔ-60 ᲬᲚᲘᲡ�თᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

1920 ᲬᲚᲘᲡ ივლისში კომუნისტური ინტერნაციონალის II კონგრესზე შეკრებილმა დელეგატებმა მიიღეს ვ. ი. ლენინის წიგნი „მემარცხენეობის“ საყმაწვილო სენი კომუნიზმში“, რომელიც ის-ის იყო გამოიცა რუსულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე. ხელნაწერზე მუშაობა ლენინმა 27 აპრილს დაამთავრა. ავტორს სურდა წიგნისათვის ქვესათაურად წაემძღვარებინა — „მარქსისტული სტრატეგიისა და ტაქტიკის შესახებ პოპულარული საუბრის გამოცდილება“.

მაგრამ „პოპულარული საუბარი“ კლასიკურ ნაშრომად იქცა, რომელშიც ჩამოყალიბებულია უმნიშვნელოვანესი თეორიული და ტაქტიკური დებულებები ძალაუფლებისათვის პროლეტარული პარტიების ბრძოლისა ისეთ პირობებში, როცა ოქტომბრის გამარჯვებამ დასაბამი მისცა კაცობრიობის გადასვლას კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე. ნაშრომში ამომწურავი პასუხი ეძლევა კომუნისტური პარტიის ორგანიზაციულ-პოლიტიკური და იდეოლოგიური მშენებლ

„უკაცრავად, ბატონებო!“

ჩვენს მკითხველს უკვე მოეხსენება, რომ ჟურნალისტის ცენტრალურ სახლში ა. წ. 21 მაისს, მორიგ ოთხშაბათობაზე, მოსკოვში აკრედიტებული უცხოელი ჟურნალისტები საქართველოს ჟურნალისტთა კავშირმა მიიღო. ინფორმაცია ამის თაობაზე გაზეთმა 24 მაისს დაბეჭდა. წერილში, რომელსაც ქვემოთ ვაქვეყნებთ, გადმოცემულია ზოგიერთი მოსაზრება იმ საუბრების ირგვლივ, რომლებიც უცხოელ ჟურნალისტთა და საქართველოს დელეგაციის წევრებს შორის გაიმართა შეხვედრის დროს.

ᲒᲐᲜᲡᲯᲐ ᲭᲧᲣᲘᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡᲐ

1.

ᲐᲠᲐᲡᲓᲠᲝᲡ ბურჟუაზიულ პრესას ასე დიდი ინტერესი საქართველოსადმი არ გამოუჩენია, როგორც ეს ამ ბოლო რამდენიმე წელს შეინიშნება. მომეტებული ინტერესი ჩვენი რესპუბლიკის მიმართ გაუჩნდათ არა მარტო კაპიტალისტური სამყაროს გაზეთნაგ, მრავალტირაჟიან ჟურნალ-გაზეთებს, არამედ პატარა გაზეთებსაც. თანაც საქართველოზე მასალების მოცულობა და მათი გამოქვეყნების პერიოდულობა ისეთია, რომ საბჭოთა რესპუბლიკის ცხოვრების ამა თუ იმ სფეროს ფართოდ ჩვენებისა და შეფასების საშუალებას იძლევა. საინფორმაციო დეპეშებს აღარავინ კმარობს.

ამგვარი ცხოველი ინტერესის მთავარი მიზეზი, რაღა თქმა უნდა, ის დიდი და არსებითი ცვლილებები გახლავთ, რომლებიც საქართველოში მოხდა პარტიის თბილისის კომიტეტის მუშაობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შემდეგ.

მართლაც, თუ სახალხო მეურნეობის ზრდისა და განვითარების ტემპს შეეხება საქმე, ისეთი სწრაფი, ამჟამად ჩვენს რესპუბლიკას რომ ახასიათებს იშვიათია. თუ საქმე ერის სულიერ ცხოვრებასა და კულტურას ეხება, აქაც განსაკუთრებით გამოსარჩევი და გამოსაჩენი პერიოდია. ეს ყოველივე კი რესპუბლიკის ფართო საზოგადოებრიობის ცდასთან და მონდომებასთან არის უშუალოდ დაკავშირებული და ამიტომ მაინცდამაინც, ვერ დამალავ იმას, რომ ბურჟუაზიული ინფორმაციისა და პროპაგანდის მასობრივი საშუალებების ყურადღების არეში ხვდება რესპუბლიკის ახალი ხელმძღვანელობა, რომელიც მეთავეობს ამ განახლების პროცესს.

ამაზე თვალის დახუჭვა, რა კეთილშობილური მოტივითაც უნდა ვისურვოთ, არა ღირს, რადგან სწორ საორიენტაციო სიტუაციას გვაშორებს. სხვა მხრივაბა, საქართველო არავისთვის აღმოჩენა არ არის. მისი ისტორიული წარსული, ხალხის ტრადიცია და ხასიათი, ბუნებრივი თუ სულიერი სიმდიდრე, თუნდაც გეოგრაფიული იღბალი ადრეც იზიდავდა უცხოელ აღმწერელთა თვალსა და კალამს, დღევანდელობის თავისებურებანი კი იმით გამოიხატება, რომ ჯერ ერთი, აღმწერელი ეგზომ მომრავლდა (რაც ტურიზმისა და გაცვლის დღევანდელი მასშტაბებითაც უნდა აიხსნას) და, მეორეც, ბოლო პერიოდის უცხოური პრესა, ჩვეულებრივ, ზოგადშემეცნებითი ხასიათის ობიექტური მასალების ბეჭდვით არ კმაყოფილდება (თუმცაღა, მთლად ხელს ვერ აიღებს მათზე, რადგან არსებობს კიდევ მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის ჩარჩოები და ე. წ. საეტალონო კრიტერიუმები). ბოლო პერიოდის უცხოურ პრესას უპირველეს ყოვლისა გამოკვეთილი კლასობრივ-პროპაგანდის ტ უ ლ ი დაკვეთები აქვს.

სწორედ ამის გამო, საპირისპირო ეფექტიანი პროპაგანდისტული აქციების განხორციელებისათვის ჩვენ გვჭირდება ბურჟუაზიული პრესის, რადიო და ტელეგადაცემების თემატურ მიმოხილვა, რათა საჭიროებისას უპასუხოდ არ დარჩეს ანგარებითი ტენდენცია, ჭორი თუ მტრული გამოხდომა. შესაფერისი რეკომენდაციის გარეშე დატოვებული ამგვარი აქციები იდეური მოწინააღმდეგის აქტივია.

გასაგებია, რომ უცხოელ ჟურნალისტებთან საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის დელეგაციის შეხვედრის დროს უპრიანი იქნებოდა ამ საკითხების წამოჭრაც.

ეს ასეც მოხდა, ოღონდ ნაწილობრივ, გაუმწვავებლად, იმდენად, რამდენადაც ეს შეხვედრის კეთილ განწყობას შეეფერებოდა.

2.

ᲛᲐᲘᲜᲪ რა დაწერეს დასავლეთის გაზეთებმა საქართველოზე შარშან და წელს?

სამართლიანობა მოითხოვს ჯერ პოზიტიურ მომენტებს შეეხოთ, აღვნიშნოთ ის პუბლიკაციები, რომლებშიც ობიექტურ შეფასებებს საფუძვლად ეტალონური კრიტერიუმები დაედო. იგულისხმება პირველ ყოვლისა პრესა, რომელიც ჭქონდა ხელოვნების მუზეუმის ექსპოზიციას ვენეციარიაში (წარმატება იმდენად დიდი იყო, რომ გამოფენას აღტაცებული შეფასება მისცეს ევროპის სხვა ქვეყნების გაზეთებმაც — ფრანგულმა, დასავლეთგერმანულმა, იტალიურმა, ესპანურმა, ინგლისურმა, სკანდინავიურმა და ა. შ.); რუსთაველის თეატრის გასტროლებს — ინგლისში; თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის შეხვედრებს — ევროპის წამყვან გუნდებთან; საქართველოს კონსერვატორიის კამერულ ორკესტრს, სახელმწიფო კვარტეტს, თ. აბულაძის და ლ. ღოღობერიძის კინოფილმებს, ჩვენი ბავშვების მხატვრულ თვითშემოქმედებას...

საფიქრებელია, რომ იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა საქართველოში მიღებულმა შთაბეჭდილებებმა სძლია ავტორების მერკანტილურ ან უღირს პროპაგანდისტულ მიზნებს და ობიექტური ასახვა პოვა ბურჟუაზიული გაზეთის ფურცლებზე რადიო თუ ტელეგადაცემებში.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ, ალბათ, პუბლიკაციები, რომლებშიც საქართველოს რესპუბლიკისათვის ერთობ წამგებიანი რაკურსი განპირობებულია ყოფიერებისა და ქცევის ნორმებიდან ჩვენში მართლაც არსებული გადახვევებით.

მაგრამ უდავოა, რომ სჭარბობს დაკვეთილი არაობიექტურობა.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „ბადიშე ნოიესტე ნახრიხტენი“, „ფრანკფურტერ ნოიე პრესსი“, „დი ველტი“ და „დი ცაიტი“, ფრანგული „ლა კრუა“ და „ნის მატენი“, ამერიკის შეერთებული შტატების „კრისჩენ საიენს მონიტორი“, „ინტერნეშნლ ჰერალდ ტრიბუნი“ და სხვები, ზეციცარიული „ტაგეს ანეაიგერი“, „ნოიე ციურიხერ ცაიტუნგი“ და „ტელე-რადიო ცაიტუნგი“ და სხვები და სხვები აჭრელებულია ფრაზებით (ზოგჯერ სათაურშიც გამოაქვთ): „მსმელი საქართველო“, „ჯინსის რესპუბლიკა“, „საქართველოში ყველაფერი იყიდება“, „განცხრომა საგინებელ სიტყვას არ ეპუება“, „რუსთაველის პროსპექტზე გასეირნება სლალომად იქცევა მეტწილად ახალგაზრდა, მაბეზარა საქმოსნებს შორის, რომლებიც ცდილობენ თავს მოგახვიონ რაღაც პატარა ბიზნესი“, „ეს შავსათვალეებიანი დენდები... ნაყინის კიოსკთან მოგნახავენ, შემოგძახებენ და 50 მანეთს შემოგთავაზებენ ფეხსაცმელში“, „თბილისი ერთადერთი ქალაქია, სადაც როგორც ვნახეთ, ნარკომანიას დაუფარავად, აშკარად ეწევიან ტელეფონის ჯიხურებში“ და ა. შ. აი ერთი პუბლიკაციის სათაური: „საქართველო გაქნილი პატრიოტების ქვეყანაა“.

რაოდენ შეურაცხმყოფელია ყველაფერი ეს!

განა შეიძლება გადაგვარებული ერთეულების უღირსი, სამარცხვინო საქციელის ასე განზოგადება? დღევანდელი საქართველო იმედოვნებს, რომ ერთი თაობა მოუვლის სულით ჯუჯა, მოღალატე ადამიანებს, მაგრამ როგორ იქნება, რომ მათ გამო დაიჩრდილოს, დაუნახავი დარჩეს ნაჯაფი და აღზევებული საქართველო, მისი ტანი მეცნიერული აზრი და პოეტური სული, მისი მთის სიდიადე და ნარინჯის ელვარება, ლაი შემართება და ბრძნული განსჯა და მოთმინება!

რა თქმა უნდა, არ იქნება! რა თქმა უნდა, უგვანობა და უსამართლობაა და, რა თქმა უნდა, ეჭვმიუტანელს ხდის იმას, რომ ამ ანტიქართული, ანტისაბჭოური პუბლიკაციების ავტორები მოსყიდულნი და ქრთამით მონუსხულნი არიან.

ამის დასტურად, მაგალითად, ისიც გამოდგება, რომ შარშან ფრანგული „მონდი“ თავის მკითხველებს არწმუნებდა, „საქართველოში მარტო ადგილობრივ ენას აქვს გასავალიო“, ხოლო ამერიკული „კრისჩენ საიენს მონიტორი“ ამტკიცებდა: „იქ მარტო რუსულად ლაპარაკობენო“. ხედავთ, საბჭოთა ერების დაპირისპირების ერთი შეკვეთის ორი ვარიანტი, შეთხზული იმისდა მიხედვით, შემკვეთს რა უფრო აძლევს ხელს, ქართველები გამოიყვანოს ნაციონალისტებად თუ რუსები — შოვინისტებად!

3.

ᲓᲐ ᲛᲐᲘᲜᲪ „ყინული დაიძრა“ პრესკონფერენციაზე, რომლითაც დაიწყო შეხვედრა, ოფიციალურად იქნა განცხადებული იმის თაობაზე, რომ ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრიობისათვის ცნობილია ზოგიერთი დასავლური გაზეთის არაობიექტური, ზოგჯერ მტრული და ცილისმწამებლური პოზიცია საქართველოსა და მისი ხალხის მიმართ, რაც მასში უკმაყოფილებას იწვევს და საკადრისი პასუხის გაცემის კანონიერ სურვილს ბადებს. პასუხად თუნდაც ის რად ღირს, რომ საბჭოთა პრესის ისტორიას არ ახსოვს პრეცედენტი, როცა მის ფურცლებზე პოლიტიკური ან სხვა მოსაზრებით უდიერად მოხსენიებულიყო, გაქილიკებულიყო რომელიმე ერი, რომელიმე ქვეყნის ხალხი. უცხოეთის გაზეთებში კი ბოლო დროს გახშირდა ცდები, დაარწმუნონ თავიანთი მკითხველი, თითქოს ქართველები დაბადებითვე საქმოსნები არიან, რომ აღებ-მიცემობის ციებ-ცხელება ეროვნული ავადმყოფობაა, რომ ვაჭრუკანული სული ეროვნული თვისებაა.

ერთმა დასავლეთგერმანულმა გაზეთმა შარშან ოქტომბერში სამძიმარიც კი შემოუთვალა ქართველ ხალხს იმის გამო, რომ თბილისის აეროპორტიდან აიგრძალა „ბოსტნეულის ბომბდამშენების აფრენა“. აქვე იგულისხმება „ხილის ბომბდამშენებიც“ და „ყვავილებისაც“, რადგან სწორედ სპეკულაციის წინააღმდეგ ჩვენში გატარებული ღონისძიებანი არის გამოცხადებული ანტიეროვნულ მოვლენად — აქაოდა, ხალხს სპეკულანტობა უნდა და ხელს უშლიანო.

ზოგიერთი გაზეთი წუხს, რომ საქართველოში თითქოს ყოველივე ტრადიციული უარყოფილია და კულტურული, ცივილიზებული ერისთვის საკადრისი ფსიქოლოგიურ-მორალური კლიმატის შექმნისა და დამკვიდრების ჩვენს თანამიმდევრულ, შედეგიან და ძარღვიან ცდებს ეროვნული ინტერესების შელახვად აცხადებს.

მართლაც რომ, „უკაცრავად, ბატონებო!“

უცხოელ ჟურნალისტებთან შეხვედრაზე მოსკოვში გაკეთდა განცხადება, რომ ასე წერა მეტი რომ არა ვთქვათ, პროფესიული უპასუხისმგებლობაა. ამ განცხადების საუკეთესო ილუსტრ ა ც ი ა იყო ის მოკლე, მაგრამ ღრმაშინაარსიანი ინფორმაციები დღევანდელი საბჭოთა საქართველოს ეკონომიკის, კულტურისა და მეცნიერების შესახებ, რომლებიც შეკრებილთ მიაწოდეს რესპუბლიკის საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ოთარ კაკაურიძემ, კულტურის მინისტრმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ოთარ თაქთაქიშვილმა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა აკადემიკოსმა ვაჟა ოკუჯავამ.

როგორც შეხვედრის შემდეგ დღეებში გაირკვა, სასაუბრო და შედეგიანი ხასიათისაა უცხოელ ჟურნალისტებთან ჰქონდათ დელეგაციის სხვა წევრებსაც: გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორს ნიკოლოზ ჩერქეზიშვილს, საქართველოს მინისტრთა საბჭოს მუდმივ წარმომადგენელს მოსკოვში თეიმურაზ ხაჩიძეს, სსრ კავშირის სახალხო მხატვარს, ლენინური პრემიის ლაურეატს ზურაბ წერეთელს, ცნობილ მშენებელს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს ტრისტან ქართველიშვილს, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის მდივანს ნოდარ ბეთანიშვილს, აგრეთვე მოსკოვში მცხოვრებ გამოჩენილ ქართველ მოღვაწეებს — დრამატურგ გიორგი მდივანს, კინორეჟისორ გიორგი დანელიას და სხვებს.

დასავლეთის პრესის კორესპონდენტებთან შეხვედრის ხასიათს მკითხველი იმითაც მიგვიხვდება, თუ აქ გავიხსენებთ რამდენიმე ანდაზას, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა მოიშველიეს საუბრების დროს: „ჩხუბში ისეთ სიტყვას ნუ იტყვი, შერიგებისას შეგრცხვესო“ (ქართული), „Шутка шуткой, а на ус намотай!“ (რუსული), „სიმართლის მსგავსი ხუმრობა ხუმრობა აღარ არის“ (ინგლისური).

„ხუმრობას“ კი ასეთი გასაცვალი იმიტომ ჰქონდა, რომ პრესკონფერენცია ამ სიტყვებით დამთავრდა: „უცხოეთის პრესაში საქართველოს ამბების ტენდენციური გაშუქების გამო ჩვენი საყვედური ამ პირველ შეხვედრაზე ვინმეს უადგილოდ თუ მოეჩვენება, ამკერად შეგვინაროს, ხუმრობაში ჩამოგვართვას, ოღონდ — საჭირო, სერიოზულ ხუმრობაში, რადგან დარწმუნებული ვართ, რომ ჟურნალისტს, რომელი ქვეყნისა და გაზეთისაც უნდა იყოს, სასიამოვნო შეხვედრების, დასვენების, განცხრომის დროსაც უნდა ახსოვდეს: დედამიწაზე შფოთია და უნდა ეცნობოდეს მისი დაშშმინებისა და არა გაღრმავებისათვის. თუ ვინმე უცხოელ სტუმარი ამ . მოსაზრებას მაინც არ იზიარებს, ვიწვევთ თხუთმეტ ოპონენტს ერთად საბრძოლველად... საჯადრაკო დაფებთან, სადაც ჩვენი დელეგაციის წევრი დიდოსტატი ნანა ალექსანდრია ერთდროული თამაშის სეანსს გამართავს. დაე, მან განსაჯოს მტყუანი და მართალი“.

ნანა ალექსანდრიამ განსაჯა: ყველა პარტია მოიგო, ერთი დათმო მარტო, ისიც საყაიმოდ და ისიც ერთ-ერთ მოსკოველ ქართველ ჭაბუკთან.

გ. ᲒᲔᲓᲘᲜᲘᲫᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
თ. ᲒᲝᲠᲓᲔᲚᲐᲫᲔ.

ᲡᲣᲤᲗᲐ ᲰᲐᲔᲠᲘ ᲠᲝᲛ ᲕᲘᲡᲣᲜᲗᲥᲝᲗ!..

ᲓᲘᲐᲚᲝᲒᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲰᲘᲓᲠᲝᲛᲔᲢᲔᲝᲠᲝᲚᲝᲒᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲗᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲣᲬᲧᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲯᲘᲚᲔᲡᲗᲐᲜ ᲐᲒᲠᲝᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ, ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲘᲜᲡᲞᲔᲥᲢᲝᲠᲗᲐᲜ **ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲓᲐᲚᲐᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲗᲐᲜ.**

ᲙᲚᲔᲮᲐᲜᲝᲕᲘᲡ გამზარისა და ჩელუსკინელების ქუჩის კუთხესთან, ალბათ, შეამჩნევდით ლამაზ, ვერცხლისფერ ჯიხურს, რომლის კარი ყოველდღე ზუსტად 7, 13 და 19 საათზე იღება ხოლმე. ლაბორანტი ჩართავს სპეციალურ ძრავას, იწყება ჰაერის მოცულობის, ტენიანობის, ტემპერატურის, ქარის ძალის, მისი მიმართულების, ყანგბადისა და ნახშირჟანგის რაოდენობის, ჰაერის დამტვერიანების შემცველობის განსაზღვრა. დაკვირვების ასეთი სტაციონარული პუნქტები ჩვენი დედაქალაქის მაგისტრალებთან რამდენიმე ადგილზეა. მიღებული მონაცემები საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის სამმართველოს სპეციალურ ლაბორატორიას გადაეცემა, სადაც კლიმატურ მონაცემებთან ერთად სწავლობენ ატმოსფერული ჰაერის გაჭუჭყიანების მდგომარეობას.

**— ᲧᲕᲔᲚᲐᲡᲗᲕᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲡᲐᲛᲬᲘᲤᲝᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲢᲛᲝᲡᲤᲔᲠᲝᲡ ᲓᲐᲭᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲔᲑᲘᲗᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ. ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲛᲑᲐᲠᲘ



საქართველოს სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემია იუწყება

1980 წლის 28 ივნისს 13 საათზე / **იწვევს თათბირს, რომელზეც საჭიროდ განიხილავენ**

გამოჩენილი ქართველი მეცნიერის ივანე თარხნიშვილის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად

წარმოდგენილ ნაშრომებს.

განხილვაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ დაინტერესებულ პირებს.

სხდომა გაიმართება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიისა და ექსპერიმენტული მედიცინის განყოფილებაში.

მისამართი: რუსთაველის გამზირი № 52, ოთახი № 11.

● ●

1980 წლის 24 ივნისს დღის 11 საათზე მოწვეულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილების ღია სხდომა, რომელზედაც საჭიროდ იქნება განხილული

გამოჩენილი ქართველი ქიმიკოსი მეცნიერის პეტრე მელიქიშვილის სახელობის 1980 წლის პრემიის მოსაპოვებლად

წარმოდგენილი შრომები: გიგაურისა და ბ. ჩერნოკალსკის შრომათა ციკლი თემაზე — „დარიშხანის შემცველი ნაერთების კვლევის ძირითადი მიმართულებები და შედეგები"; ე. ნანობაშვილის, ჟ. ხოჭმასურიძის, ნ. რაზმაძის, მ. მამალაძისა და ლ. მახონინის ერთობლივი ნაშრომი თემაზე — „სხვადასხვა ლითონთა იონების რადიაციულ-ქიმიური აღდგენა მათი მარილების ხსნარებიდან", კ. ჯაფარიძის მონოგრაფია — „სპიროქრომენები".

ნაშრომთა განხილვაში მონაწილეობა შეუძლიათ დაინტერესებულ პირებს.

სხდომა გაიმართება მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის შენობაში. **რუსთაველის პრ. № 52, IV სართული, 421-ე ოთახი.**

● ●

1980 წლის 26 ივნისს 3 საათზე მოწვეულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილების ღია სხდომა, რომელიც განიხილავს

გამოჩენილი ქართველი მათემატიკოსის ანდრია რაზმაძის სახელობის 1980 წლის პრემიაზე

წარდგენილ ნაშრომებს.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს.

სხდომა გაიმართება მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში, **რუსთაველის გამზირი № 52.**

ილია ჭავჭავაძის სახელოგნის თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი

აცხადებს მიღებას 1980-1981 სასწავლო წლისათვის დღის სწავლების შემდეგ სპეციალობებზე:

ინგლისური ენა (ქართული და რუსული სექტორები);

გერმანული ენა (ქართული და რუსული სექტორები);

ფრანგული ენა (ქართული და რუსული სექტორები).

არჩეული სპეციალობის შესაბამისად, აბიტურიენტები ჩაბარებენ მისაღებ გამოცდებს შემდეგ საგნებში: უცხო ენა (ზეპირი), მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი), სსრკ ისტორია (ზეპირი).

მისაღები გამოცდები ეწყობა სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამით. აბიტურიენტები გაივლიან გასაუბრებას.

ის პირები, რომლებმაც საშუალო სკოლა დაამთავრეს ოქროს ან ვერცხლის medlitით ან საშუალო სპეციალური და საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლები ნარჩინების დიპლომით, უცხო ენაში შეფასება „ხუთის" მიღების შემთხვევაში თავისუფლდებიან სხვა საგნებში გამოცდების ჩაბარებისაგან. ჩარიცხვის დროს უპირატესობით სარგებლობენ არანაკლებ ორი წლის პრაქტიკული მუშაობის სტაჟის მქონე პირები, ასევე თადარიგში დათხოვილი სამხედრო მოსამსახურეები.

ინსტიტუტში შემსწავლელს განცხადება შეაქვს რექტორის სახელზე სპეციალობის ზუსტი აღნიშვნით. განცხადებას ერთვის შემდეგი საბუთები: 1. საშუალო განათლების მოწმობა (დედანი); 2. დახასიათება უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან, რომელსაც აძლევენ საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელები, კოლმეურნეობათა გამგეობები, პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული ორგანიზაციები, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულს — სკოლის დირექცია და კომკავშირული ორგანიზაცია; 3. ის პირები, რომელთაც აქვთ პრაქტიკული მუშაობის არანაკლებ ორი წლის სტაჟი, წარადგენენ შრომის წიგნაკის ამონაწერს, დამოწმებულს საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელის მიერ (საკოლმეურნეო წიგნაკის ამონაწერში ნაჩვენები უნდა იყოს კაცდღეების სავალდებულო მინიმუმი კალენდარული წლისათვის); ამ აბიტურიენტებს, რომელთაც 1980 წლამდე დამთავრეს სკოლა, მოვთხოვებათ პრაქტიკული მუშაობის სტაჟი არანაკლებ 6 თვისა ყოველწლიურად. აღნიშნული სტაჟის დასაბუთებულად აბიტურიენტმა უნდა წარადგინოს ამონაწერი შრომის წიგნაკიდან; 4. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286); 5. ოთხი ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ 3X4 სმ), დამოწმებული; 6. პასპორტსა და სამხედრო ბილეთს (მიწერის მოწმობას) შემსვლელნი წარადგენენ პირადად.

განცხადების მიღება წარმოებს 20 ივნისიდან 31 ივლისამდე ჩათვლით კვირადღეების გარდა 10-დან 14 საათამდე.

მისაღები გამოცდები მოიწყობა 1-დან 20 აგვისტომდე.

დაწვრილებითი ცნობები — ინსტიტუტის მიმღებ კომისიაში, თბილისი ილია ჭავჭავაძის გამზირი 45, ტელ. 23-05-08.

თბილისის აკადემიკოს ი. ნ. ვეკუას სახელოგნის 42-ე საშუალო სკოლა

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას მე-8 კლასებში

სკოლაში მიიღებიან მოსწავლეები, რომლებსაც განსაკუთრებული მიდრეკილება აქვთ ფიზიკისა და მათემატიკის შესწავლისადმი, დაამთავრეს საშუალო სკოლის 7 კლასი და გაუბრებისას გამოიჩინენ სათანადო ცოდნას შესაბამისი პროგრამის ფარგლებში.

გასუბრებაზე დაშვების შესახებ განცხადების მიღება იწარმოებს 20 აგვისტომდე.

განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოთ უკანასკნელი სასწავლო წლის „ნიშნების ფურცელი" და ცნობა საცხოვრებელი ადგილის შესახებ.

მისაღები გასაუბრება იწარმოებს 20-დან 28 აგვისტომდე.

მოსწავლეთა ჩარიცხვა—28-დან 31 აგვისტომდე.

ფიზიკისა და მათემატიკის რესპუბლიკური ოლიმპიადის დასკვნითს ტურებში გამარჯვებული მოსწავლეები ჩაირიცხებიან უგასაუბრებოდ.

მოსწავლე ახალგაზრდებო! ვინც დაინტერესებული ხართ, შეისწავლოთ მათემატიკა და ფიზიკა გაძლიერებული კურსით, შეგიძლიათ სწავლა განაგრძოთ ჩვენს სკოლაში.

გაძლიერებულსწავლებიან კლასებში სპეციალურ დისციპლინებს ასწავლიან მაღალკვალიფიციური პედაგოგები და მოწვეული პროფესორ-მასწავლებლები.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება თბილისის აკადემიკოს ი. ნ. ვეკუას სახელობის 42-ე საშუალო სკოლის დირექციაში.

მისამართი: ჩაიკოვსკის ქ. № 9, ტელ. 99-82-10.



თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტი

აცხადებს მიღებას 1980-1981 სასწავლო წლისათვის

დღის განყოფილება

1. მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. სპეციალობა — მათემატიკა (სპეციალიზაციები: ფუნქციათა თეორია, დიფერენციალური განტოლებანი, ალგებრა და რიცხვთა თეორია, გეომეტრია და ტოპოლოგია, ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა, გამოთვლითი მათემატიკა, მათემატიკური ფიზიკის განტოლებანი, დრეკადობის თეორია, ჰიდროდინამიკა, ასტრონომია);

2. კიბერნეტიკისა და გამოყენებითი მათემატიკის ფაკულტეტი. სპეციალობა — გამოყენებითი მათემატიკა (სპეციალიზაციები: ელექტრონული გამომთვლელი მანქანების მათემატიკური უზრუნველყოფა, გამოთვლითი ტექნიკის საშუალებათა გამოყენება, მართვის ავტომატიზებულ სისტემათა მათემატიკური უზრუნველყოფა);

3. ფიზიკის ფაკულტეტი. სპეციალობანი: ა) ფიზიკა (სპეციალიზაციები: თეორიული ფიზიკა, ბირთვული ფიზიკა, მაღალი ენერგიების ბირთვული ფიზიკა, ექსპერიმენტული ფიზიკა, გეოფიზიკა, ბიოფიზიკა, ფიზიკური ჰიდროდინამიკა, კვანტური ელექტრონიკა (კვანტური გენერატორები და ჰოლოგრაფია), ატმოსფეროს ფიზიკა, ბ) რადიოფიზიკა და ელექტრონიკა (სპეციალიზაციები: კვანტური რადიოფიზიკა, რადიომზომილობა), გ) ნახევარგამტარები და დიელექტრიკები (სპეციალიზაციები: ნახევარგამტარებისა და დიელექტრიკების ფიზიკა, მიკროელექტრონიკა);

4. ქიმიის ფაკულტეტი. სპეციალობა — ქიმია (სპეციალიზაციები: არაორგანული ქიმია, ანალიზური ქიმია, ორგანული ქიმია, ფიზიკური ქიმია, მაღალმოლეკულურ ნაერთთა ქიმია, ქიმიური კინეტიკა);

5. გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი. სპეციალობანი: ა) გეოგრაფია (სპეციალიზაციები: ეკონომიკური გეოგრაფია, ფიზიკური გეოგრაფია, გეომორფოლოგია, კარტოგრაფია, ნიადაგების გეოგრაფია და ნიადაგმეცოდნეობა, ოკეანოლოგია, მხარეთმცოდნეობა და საექსკურსიო საქმის ორგანიზაციის მეთოდიკა), ბ) მეტეოროლოგია (სპეციალიზაცია: ხმელეთის ჰიდროლოგია), გ) წიაღისეული საბადოების ძებნა-ძიების გეოფიზიკური მეთოდები, დ) გეოლოგიური აგებგვა და წიაღისეული საბადოების ძებნა-ძიება;

6. ბიოლოგიის ფაკულტეტი. სპეციალობანი: ა) ბიოლოგია (სპეციალიზაციები: ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგია, მცენარეთა ფიზიოლოგია, ბოტანიკა, ზოოლოგია, ბიოქიმია, ბიოფიზიკა, გენეტიკა და სელექცია, ციტოლოგია, მიკრობიოლოგია და იქთიოლოგია);

7. ისტორიის ფაკულტეტი. სპეციალობანი: ა) ისტორია (სპეციალიზაციები: სკკპ ისტორია, მეცნიერული კომუნიზმი, სკკპ ხალხთა ისტორია, საქართველოს ისტორია, ძველი და შუა საუკუნეების ისტორია, ევროპის და ამერიკის ახალი და უახლესი ისტორია, აზიის და აფრიკის ახალი და უახლესი ისტორია, არქეოლოგია, ეთნოგრაფია), ბ) ხელოვნებათა ისტორია;

8. ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტი. სპეციალობანი: ა) ფილოსოფია, ბ) ფსიქოლოგია;

9. ფილოლოგიის ფაკულტეტი: სპეციალობანი: ა) ქართული ენა და ლიტერატურა (სპეციალიზაციები: კავკასიური ენები, კლასიკური ფილოლოგია, ლიტერატურათმცოდნეობა, ლინგვისტიკა, სსრ კავშირის ხალხთა ლიტერატურა და მხატვრული თარგმნა, ფოლკლორისტიკა, ტექსტოლოგია), ბ) რუსული ენა და ლიტერატურა;

10. ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. სპეციალობა — ჟურნალისტიკა (სპეციალიზაციები: ლიტერატურული მუშაობა გაზეთებსა და ჟურნალებში, ლიტერატურული მუშაობა რადიომაუწყებლობაში, ლიტერატურული მუშაობა ტელევიზიაში).

11. დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი. სპეციალობანი: ა) ინგლისური ენა და ლიტერატურა, ბ) გერმანული ენა და ლიტერატურა; გ) ფრანგული ენა და ლიტერატურა;

12. აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი. სპეციალობანი: ა) აღმოსავლური ენები და ლიტერატურა, ბ) საზღვარგარეთის აღმოსავლეთის ქვეყნების ქვეყნათმცოდნეობა;

13. ეკონომიკის ფაკულტეტი. სპეციალობანი: ა) პოლიტიკური ეკონომია, ბ) ფინანსები და კრედიტი, გ) სტატისტიკა;

14. საალრიცხვო-ეკონომიკური ფაკულტეტი. სპეციალობა — საბუღალტრო აღრიცხვა (სპეციალიზაციები: აღრიცხვა მრეწველობაში, აღრიცხვა ვაჭრობაში, აღრიცხვა სოფლის მეურნეობაში, აღრიცხვა ტრანსპორტზე, ბიუჯეტური აღრიცხვა);

15. საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტი. სპეციალობანი: ა) მანქანათმშენებელი მრეწველობის ეკონომიკა და ორგანიზაცია, ბ) მშენებლობის ეკონომიკა და ორგანიზაცია, გ) ეკონომიკური ინფორმაციის მექანიზებული დამუშავების ორგანიზაცია, დ) ეკონომიკური კიბერნეტიკა, ე) საყოფაცხოვრებო მომსახურების ეკონომიკა და ორგანიზაცია;

16. სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტი. სპეციალობანი: ა) სახალხო მეურნეობის დაგეგმვა, ბ) მრეწველობის დაგეგმვა, გ) შრომის ეკონომიკა, დ) სოფლის მეურნეობის დაგეგმვა;

17. ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტი. სპეციალობანი: ა) ვაჭრობის ეკონომიკა (სპეციალიზაცია: საზოგადოებრივი კვება), ბ) საქონელმცოდნეობა და სამრეწველო საქონლის ვაჭრობის ორგანიზაცია, გ) საქონელმცოდნეობა და სასურსათო საქონლის ვაჭრობის ორგანიზაცია, დ) მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ეკონომიკა და დაგეგმვა;

18. იურიდიული ფაკულტეტი. სპეციალობა — სამართლისმცოდნეობა.

შენიშვნები: ა) ფილოსოფიის, ჟურნალისტიკის, პოლიტიკური ეკონომიისა და სამართლისმცოდნეობის სპეციალობათა დღის განყოფილებაზე შემსვლელებს, როგორც წესი, მოეთხოვებათ ორი წლის პრაქტიკული მუშაობის სტაჟი. გარდა ამისა, **ჟურნალისტიკის სპეციალობაზე მიიღებიან პირები,** რომლებმაც უნარი გამოიჩინეს ლიტერატურულ საქმიანობაში. ამ მიზნით დღის განყოფილებაზე ჟურნალისტიკის სპეციალობაზე მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად დაიშვებიან მხოლოდ ის აბიტურიენტები, რომლებიც წარმატებით გავლილან შემოქმედებითს კონკურსს. **შემოქმედებითს კონკურსში მონაწილეობას** [illegible] **ების მსურველებმა განცხადება უნდა შემოიტანონ 10 ივლისამდე. კონკურსი მოეწყობა 15-დან 25 ივლისამდე.**

შემოქმედებითს კონკურსში მონაწილეობის მსურველნი წარმოადგენენ რედაქციის ან სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის აღგილობრივი ორგანიზაციის რეკომენდაციებს, პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებულ, ან რადიოთი და ტელევიზიით გადაცემულ მასალებს. პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული მასალები წარმოდგენილი უნდა იყოს ამონაბეჭრთა სახით (ფოტოპუბლიკაციების დუბლიორება შეიძლება ორიგინალების), რადიო და სატელევიზიო მასალები — მანქანაზე გადაბეჭდილი ხელნაწერის სახით. ყველა მასალა დამოწმებული უნდა იყოს სათანადო რედაქციის ხელმძღვანელის ხელისმოწერითა და ბეჭდით.

წარმოდგენილ მასალებს აფასებს ორი რეცენზენტი (პირველი რეცენზენტია პრაქტიკოსი ჟურნალისტი, მეორე — ფაკულტეტის მასწავლებელი). რეცენზენტებს ამტკიცებს ფაკულტეტის დეკანი.

დადებითად შეფასებული ნაშრომების ავტორები დაიშვებიან შემოქმედებითს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად. შემოქმედებითი კონკურსის მოსაწყობად იქმნება საკონკურსო კომისია ფაკულტეტის დეკანის თავჯდომარეობითა და ფაკულტეტის წამყვანი მასწავლებლების, გამოცდილი ჟურნალისტების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლების შემადგენლობით.

კონკურსისათვის მასალები მიიღება 1-დან 10 ივლისამდე. შემოქმედებითს კონკურსში აბიტურიენტის დაშვების გადაწყვეტილებას კომისია იღებს 14 ივლისამდე.

შემოქმედებითი კონკურსი ეწყობა 15-25 ივლისს ორ ტურად, პირველი — წერითი სამუშაო სპეციალური მეთოდიკით, მეორე — გასაუბრება.

პირები, რომლებიც წარმატებით გაივლიან აღნიშნულ კონკურსს, დაიშვებიან მისაღებ გამოცდებზე.

ჟურნალისტთა კავშირის წევრები თავისუფლდებიან შემოქმედებითს კონკურსში მონაწილეობისაგან და მისაღები გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში ჩაირიცხებიან პირველ კურსზე უკონკურსოდ.

ჩარიცხვისას სხვა თანაბარ პირობებში უპირატესობა ეძლევათ იმ პირებს, რომლებმაც უფრო წარმატებით გაიარეს შემოქმედებითი კონკურსი.

ბ) ფილოსოფიის, ჟურნალისტიკის, პოლიტიკური ეკონომიისა და სამართლისმცოდნეობის სპეციალობათა დღის განყოფილებაზე მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად ორი წლის პრაქტიკული მუშაობის სტაჟის უქონლად გამონაკლისის სახით დაიშვებიან აბიტურიენტები, რომლებმაც საშუალო სკოლა დაამთავრეს მედლით, ან აქვთ ფრაადოსნის ატესტატი, საშუალო სპეციალური ან საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლის წარჩინების დიპლომი. ასეთი პირების ჩარიცხვა მისაღები გამოცდების შედეგად მოხდება ამ სპეციალობებისათვის გამოყოფილი ადგილების 25 პროცენტის ფარგლებში, თუკი ისინი მოაგროვებენ სტაჟის მქონე აბიტურიენტების გამსვლელ ქულაზე მეტ ქულათა რაოდენობას.

გ) იმ პირთა, რომლებსაც სურთ შესვლა სტრუქტურული და გამოყენებითი ლინგვისტიკის სპეციალიზაციით, განცხადება უნდა შეიტანონ კიბერნეტიკისა და გამოყენებითი მათემატიკის ფაკულტეტზე. ისინი ჩაბარებენ: მათემატიკას (წერა), ქართულ ენასა და ლიტერატურას (წერა და ზეპირი), უცხო ენას (ზეპირი).

დ) რუსულ სექტორზე მიღება იწარმოებს შემდეგ სპეციალობებზე: ა) გამოყენებითი მათემატიკა (სპეციალიზაცია: მართვის ავტომატიზებულ სისტემათა მათემატიკური უზრუნველყოფა), ბ) ფიზიკა, გ) რადიოფიზიკა და ელექტრონიკა, დ) რუსული ენა და ლიტერატურა, ე) ჟურნალისტიკა, ვ) საბუღალტრო აღრიცხვა, ზ) მრეწველობის დაგეგმვა.

საღამოს განყოფილება

1. ფიზიკის ფაკულტეტი. სპეციალობა — ფიზიკა (სპეციალიზაციები: ბირთვული ფიზიკა, მყარი სხეულების ფიზიკა, რადიოფიზიკა);

2. ქიმიის ფაკულტეტი. სპეციალობა — ქიმია;

3. ისტორიის ფაკულტეტი. სპეციალობა — ისტორია;

4. ფილოლოგიის ფაკულტეტი. სპეციალობანი: ა) ქართული ენა და ლიტერატურა, ბ) რუსული ენა და ლიტერატურა;

5. ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. სპეციალობა — ჟურნალისტიკა.

6. დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი. სპეციალობანი: ა) ინგლისური ენა და ლიტერატურა, ბ) ფრანგული ენა და ლიტერატურა;

7. ეკონომიკის ფაკულტეტი. სპეციალობანი: ა) ფინანსები და კრედიტი, ბ) სტატისტიკა;

8. საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტი. სპეციალობა — მშენებლობის ეკონომიკა და ორგანიზაცია;

9. სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტი. სპეციალობა — მრეწველობის დაგეგმვა;

10. ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტი. სპეციალობანი: ა) საქონელმცოდნეობა და სამრეწველო საქონლის ვაჭრობის ორგანიზაცია; ბ) საქონელმცოდნეობა და სასურსათო საქონლის ვაჭრობის ორგანიზაცია, გ) მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ეკონომიკა და დაგეგმვა;

11. იურიდიული ფაკულტეტი. სპეციალობა — სამართლისმცოდნეობა.

შენიშვნები: ა) რუსულ სექტორზე მიღება იწარმოებს შემდეგ სპეციალობებზე: რუსული ენა და ლიტერატურა, ჟურნალისტიკა, ვაჭრობის ეკონომიკა, საბუღალტრო აღრიცხვა, სამართლისმცოდნეობა; **ბ) საღამოს განყოფილებაზე დაიშვებიან აბიტურიენტები,** რომლებიც ცხოვრობენ და მუშაობენ თბილისში, რუსთავში, მცხეთისა და გარდაბნის რაიონებში, აგრეთვე ის პირები, რომლებიც მუშაობენ თბილისში და ცხოვრობენ საგარეჯოს, ბოლნისის, მარნეულის, კასპის, დუშეთის, თეთრი წყაროს რაიონებში და ქ. გორში.

დაუსწრებელი განყოფილება

1. გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი. სპეციალობა — გეოგრაფია;

2. ისტორიის ფაკულტეტი. სპეციალობა — ისტორია;

3. ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. სპეციალობა — ჟურნალისტიკა;

4. საალრიცხვო-ეკონომიკური ფაკულტეტი. სპეციალობა — საბუღალტრო აღრიცხვა (სპეციალიზაციები: აღრიცხვა მრეწველობაში, აღრიცხვა სოფლის მეურნეობაში);

5. სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტი. სპეციალობანი: მრეწველობის დაგეგმვა, შრომის ეკონომიკა;

6. ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტი. სპეციალობანი: ა) ვაჭრობის ეკონომიკა (სპეციალიზაცია: საზოგადოებრივი კვება); ბ) საქონელმცოდნეობა და სამრეწველო საქონლის ვაჭრობის ორგანიზაცია;

7. იურიდიული ფაკულტეტი. სპეციალობა — სამართლისმცოდნეობა.

შენიშვნა: ქუთაისის აღ. წულუკიძის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში გახსნილია თბილისის უნივერსიტეტის საალრიცხვო-ეკონომიკური ფაკულტეტის ფილიალი საბუღალტრო აღრიცხვის სპეციალობით. ფილიალს აქვს დღისა და საღამოს განყოფილებები. ქუთაისის ფილიალში სწავლის მსურველებმა განცხადება უნდა შეიტანონ ქუთაისის აღ. წულუკიძის სახელობის პედინსტიტუტში. მისაღები გამოცდები და სწავლა ამავე ინსტიტუტში იწარმოებს. ქუთაისის ფილიალის საღამოს განყოფილებაზე საბუთების შეტანა შეუძლიათ მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც ქ. ქუთაისში და მის ახლომდებარე რაიონებში ცხოვრობენ და მუშაობენ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შემსვლელთა კონკურსი ეწყობა ცალკეული სპეციალობების, განყოფილებების (დღე, საღამო, დაუსწრებელი) და სექტორების (ქართული, რუსული) მიხედვით დამოუკიდებლად.

შემსვლელნი არჩეული სპეციალობის შესაბამისად მისაღებ გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში;

1. მათემატიკის, გამოყენებითი მათემატიკის, გეოლოგიური აგებგვისა და წიაღისეული საბადოების ძებნა-ძიების, წიაღისეული საბადოების ძებნა-ძიების გეოფიზიკური მეთოდების, მეტეოროლოგიის, მანქანათმშენებელი მრეწველობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის, ეკონომიკური ინფორმაციის მექანიზებული დამუშავების ორგანიზაციის, მშენებლობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სპეციალობებზე — მათემატიკა (წერა და ზეპირი), ფიზიკა (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

2. ფიზიკის, რადიოფიზიკისა და ელექტრონიკის, ნახევარგამტარებისა და დიელექტრიკების სპეციალობებზე — ფიზიკა (ზეპირი), მათემატიკა (წერა და ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

3. ქიმიის, საყოფაცხოვრებო მომსახურების ეკონომიკისა და ორგანიზაციის სპეციალობებზე — მათემატიკა (წერა), ქიმია (ზეპირი), ფიზიკა (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

4. ბიოლოგიის სპეციალობაზე — მათემატიკა (წერა), ბიოლოგია (ზეპირი), ქიმია (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

5. ქართული ენისა და ლიტერატურის, ჟურნალისტიკის, აღმოსავლური ენებისა და ლიტერატურის სპეციალობებზე— ქართული ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი), უცხო ენა (ზეპირი), სსრ კავშირის ისტორია (ზეპირი).

6. სამართლისმცოდნეობის, ფილოსოფიის სპეციალობებზე — ქართული ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი), სსრ კავშირის ისტორია (ზეპირი), უცხო ენა (ზეპირი).

7. ხელოვნებათა ისტორიის სპეციალობაზე — ხელოვნების კავშირის ისტორია (ზეპირი), სპეციალური პროგრამით), სსრ კავშირის ისტორია (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი).

8. ფსიქოლოგიის სპეციალობაზე — მათემატიკა (წერა), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), ბიოლოგია (ზეპირი), სსრ კავშირის ისტორია (ზეპირი).

9. ინგლისური ენისა და ლიტერატურის, გერმანული ენისა და ლიტერატურის, ფრანგული ენისა და ლიტერატურის სპეციალობებზე — უცხო ენა (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი), სსრ კავშირის ისტორია (ზეპირი).

10. გეოგრაფიის, სახალხო მეურნეობის დაგეგმვის, მრეწველობის დაგეგმვის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ეკონომიკისა და დაგეგმვის, შრომის ეკონომიკის, ვაჭრობის ეკონომიკის, ფინანსებისა და კრედიტის, სტატისტიკის, საბუღალტრო აღრიცხვის, პოლიტიკური ეკონომიის სპეციალობებზე — მათემატიკა (წერა), გეოგრაფია (ზეპირი), სსრ კავშირის ისტორია (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

11. ეკონომიკური კიბერნეტიკის სპეციალობაზე — მათემატიკა (წერა და ზეპირი), სსრ კავშირის ისტორია (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

12. სოფლის მეურნეობის დაგეგმვის სპეციალობაზე — მათემატიკა (წერა), გეოგრაფია (ზეპირი), ბიოლოგია (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

13. საქონელმცოდნეობისა და სამრეწველო საქონლის ვაჭრობის ორგანიზაციის, საქონელმცოდნეობისა და სასურსათო საქონლის ვაჭრობის ორგანიზაციის სპეციალობებზე — მათემატიკა (წერა), ქიმია (ზეპირი), გეოგრაფია (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

14. ისტორიის, საზღვარგარეთის აღმოსავლეთის ქვეყნების ქვეყანათმცოდნეობის სპეციალობებზე — სსრ კავშირის ისტორია (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი), უცხო ენა (ზეპირი).

შენიშვნები: ა) ისინი, ვინც დაამთავრა საშუალო სკოლა ოქროს ან ვერცხლის medlitით ანდა საშუალო სპეციალური და საშუალო პროფტექნიკური სასწავლებელი — წარჩინების დიპლომით, ჩაბარებენ პირველად დასახელებულ საგანს. ამასთან იმ საგნებში, რომლებშიც გათვალისწინებულია როგორც წერითი, ისე ზეპირი გამოცდა, აბარებენ მხოლოდ წერითს.

ბ) ხელოვნების ისტორიისა და თეორიის პროგრამა გამოქვეყნებულია თბილისის უნივერსიტეტის 1980 წლის ცნობარში.

გ) აბიტურიენტი, რომელიც დღის განყოფილებაზე ვერ ჩაირიცხა კონკურსით, საღამოს და დაუსწრებელ განყოფილებებზე მისი ჩარიცხვის საკითხი განიხილება იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ განყოფილებებზე ვაკანტური ადგილები დარჩა. ამასთან, განიხილება იმ აბიტურიენტის საკითხი, რომელიც აკმაყოფილებს საღამოს და დაუსწრებელ სწავლებაზე შემომსვლელთა პირობებს.

დ) მიმდინარე წელს ის აბიტურიენტები, რომელთაც საშუალო განათლების დოკუმენტში (ატესტატი, დიპლომი) არა აქვთ შეფასება „სამი" და ამასთანავე ამ დოკუმენტის საშუალო ნიშანი 4,5-ია (დაუმრგვალებლად), პირველი ორი გამოცდის შედეგად 10-ან 9 ქულის მოგროვების შემთხვევაში ჩაირიცხებიან უნივერსიტეტში დანარჩენი გამოცდების ჩაბარებლად. ეს ეხება აგრეთვე იმ მედალოსნებს და წარჩინების დიპლომის მქონე შემსვლელებს, რომლებმაც პირველ გამოცდაზე მიიღეს შეფასება „ოთხი" და მეორეზე „ხუთი". თუ ასეთი კატეგორიის აბიტურიენტების რაოდენობა ჩასარიცხავ კონტინგენტს გადააჭარბებს რომელიმე სპეციალობაზე, მაშინ ჩარიცხვის ეს წესი არ განხორციელდება.

მიმდინარე წელს თბილისის უნივერსიტეტის დღის განყოფილებაზე პირველი ორი გამოცდის ჩაბარების შედეგების მიხედვით უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა ჩარიცხვის ექსპერიმენტი ეწყობა შემდეგ სპეციალობებზე: მათემატიკა, გამოყენებითი მათემატიკა (ქართული სექტორი), ფიზიკა, რადიოფიზიკა და ელექტრონიკა, ნახევარგამტარები და დიელექტრიკები, ქიმია, ბიოლოგია, გეოგრაფია, გეოლოგიური აგებგვა და წიაღისეული საბადოების ძებნა-ძიება, წიაღისეული საბადოების ძებნა-ძიების გეოფიზიკური მეთოდები, მეტეოროლოგია, მანქანათმშენებელი მრეწველობის ეკონომიკა და ორგანიზაცია, ეკონომიკური ინფორმაციის მექანიზებული დამუშავების ორგანიზაცია, მშენებლობის ეკონომიკა და ორგანიზაცია, ეკონომიკური კიბერნეტიკა, სახალხო მეურნეობის დაგეგმვა, მრეწველობის დაგეგმვა, შრომის ეკონომიკა, სოფლის მეურნეობის დაგეგმვა, ვაჭრობის ეკონომიკა, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ეკონომიკა და დაგეგმვა, საქონელმცოდნეობა და სამრეწველო საქონლის ვაჭრობის ორგანიზაცია, საქონელმცოდნეობა და სასურსათო საქონლის ვაჭრობის ორგანიზაციის სპეციალობებზე — მათემატიკა (წერა), ქიმია (ზეპირი), გეოგრაფია (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

14. ისტორიის, საზღვარგარეთის აღმოსავლეთის ქვეყნების ქვეყანათმცოდნეობის სპეციალობებზე — სსრ კავშირის ისტორია (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), უცხო ენა (ზეპირი).

შენიშვნები: ა) ისინი, ვინც დაამთავრა საშუალო სკოლა ოქროს ან ვერცხლის medlitით ანდა საშუალო სპეციალური და საშუალო პროფტექნიკური სასწავლებელი — წარჩინების დიპლომით, ჩაბარებენ პირველად დასახელებულ საგანს. ამასთან იმ საგნებში, რომლებშიც გათვალისწინებულია როგორც წერითი, ისე ზეპირი გამოცდა, აბარებენ მხოლოდ წერითს.

ბ) ხელოვნების ისტორიისა და თეორიის პროგრამა გამოქვეყნებულია თბილისის უნივერსიტეტის 1980 წლის ცნობარში.

გ) აბიტურიენტი, რომელიც დღის განყოფილებაზე ვერ ჩაირიცხა კონკურსით, საღამოს და დაუსწრებელ განყოფილებებზე მისი ჩარიცხვის საკითხი განიხილება იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ განყოფილებებზე ვაკანტური ადგილები დარჩა. ამასთან, განიხილება იმ აბიტურიენტის საკითხი, რომელიც აკმაყოფილებს საღამოს და დაუსწრებელ